


43736
2

საზა ლავიუვილი

საქართველოს
ბიბლიოთეკა



**მოქველი
მართლმადიდებლური
ტაძრები აჭარაში**





საზა ლაკვიზვილი

K 43736
2

**მოქმედი
მართლმადიდებლური
ტაძრები აჭარაში**



ბათუმი 2001



2



ნაშრომში განხილულია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მნიშვნელოვანი როლი ქართველი ერის ისტორიაში, საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში, მისი უდიდესი წვლილი განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში.

ავტორი მოკლედ, ძირითადად ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით, გადმოგვცემს აჭარაში ქრისტიანობის გავრცელების დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბათუმისა და სხალთის ეპარქიის ამჟამად მოქმედი ეკლესია-ტაძრების ისტორიას.

წიგნი კარგი შენაძენი იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის.

Handwritten signatures and notes:

საქართველოს ეკლესია

საეპისკოპოსო

ბათუმი

ეპისკოპოსი

ს. ლევანიძე

2001 წლის
30 მარტი





უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II




... ქართული ეკლესია 2000 წელს ითვლის. ჩვენი ქრისტიანობა დაიწყო აქ, წმინდა ადგილზე, აჭარაში. ვამაყობთ, რომ პირველ საუკუნეში აქ დაიწყო სახარების ქადაგება წმინდა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა და მოციქულმა სვიმონ კანანელმა. აჭარაა ჩვენი ქრისტიანული ფუძე, აქედან გავრცელდა მთელს საქართველოში ქრისტიანობა.

ჩვენს წინაპრებს ბევრი საამაყო ფურცელი ჩაუნერიათ ისტორიაში. ბევრი შენიშვნა მსხვერპლად მამულის, ქრისტიანობის, ქართული ენის დაწვას. თქვენ საამაყო შვილები ბრძანდებით ჩვენი დიდი წინაპრებისა.

ღმერთმა დაგლოოროთ, ღმერთმა გაგაძლიეროთ, ღმერთმა დაგლოოროს და დაიწვას თქვენთან ერთად სრულიად საქართველო.
/2:3/

ილია II

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეტოური ასლან აბაშიძე
და ბათუმისა და სნაღთის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი

საქართველოში, სწორედ აჯარაში გაისმა პირველი ქადაგება ქრისტეს მცნების შესახებ. აქ, ჯერ კიდევ ჩვენი ნელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში შემოდგეს პირველი ნაბიჯები და თან შემოიჭანეს უფლის მაღლი და სიტყვა მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა, მატათა მოციქულმა, რომელმაც ამ ცაძრიდან ათიოდე კილომეტრის მოშორებით, გონიოს მიდამოებში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. ამიერიდან, რომ აჯარას მოციქულთა მინას უწოდებენ.

სწორედ ჩვენი მოსახლეობის გონიერებასა და სიმტკიცესთან ერთად ნმიდა მოციქულთა მაღლითა და უფლის კალთის მფარველობით შეიძლება აიხსნას სამოქალაქო ომით, ნგრევითა და სისხლისღვრით მოწყულ საქართველოში ხელახლებელი მშვიდობის კუნძულის – აჯარის გადარჩენა, რომელმაც თავისთავად საფუძველი დაუდო მთელ ქვეყანაში სამშვიდობო პროცესის განვრცობას და აღმშენებლობას. (პნ: 41)

ასლან აბაშიძე

აჯარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური



საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის როლი ქართველი ერის ისტორიაში

ქრისტიანობა ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უძძლავრესი ბურჯი და დასაყრდენი იყო ყოველთვის და არის დღესაც.

ათეული წლების მანძილზე ათეისტური დიქტატურის მბრძანებლობამ თავისი კვალი დააჩნია ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროს და პირველ რიგში ჩვენს მსოფლმხედველობას. ადამიანთა სისხლსა და ცრემლზე აღმოცენებული საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ერთი უმთავრესი საშუალება მისი ათეისტური იდეოლოგიის მასებთან მიტანა და ამით საზოგადოებრივი ცნობიერების განმსჭვალვა იყო.

დრო გადიოდა, მაგრამ ქრისტიანი ქართველის სულში არ ჩამკვდარა ღვთისადმი ლტოლვა, ეკლესიისაკენ სწრაფვა. ჩუმად იწერდნენ პირჯვარს, ინათლებოდნენ და ატარებდნენ ნათლობის ჯვარს, აღნიშნავდნენ ქრისტეს შობისა და აღდგომის უდიდეს საეკლესიო დღესასწაულებს.

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ჩვენამდე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხორციელი სილამაზის აღწერა შემორჩენილია წმთეოფანესა და ნიკიფორეს თხზულებებში. აი, რას ამბობენ ისინი: ის იყო საშუალო სიმაღლისა, სახე ჰქონდა ხორბლისფერი, თმა ღია ქერა, ოდნავ ოქროსფერში რომ გადადის, თვალები ნათელი, სუფთა, დაწმენდილი, გამოხედვა სწრაფი, გამჭოლი, წარბები ოდნავ დაშვებული, მუქი ფერისა, ცხვირი საშუალო, ბაგეები ვარდისფერი და ტკბილმოუბარნი, სახე არა მთლად მრგვალი, ხელის თითები მოგრძო. მასში არ იყო არავითარი სიამაყე, ყველაფერში უბრალოება, ოდნავი მოჩვენებითობის გარეშეც კი. არავითარი განებივრება – გააზიზება; ყველაფერში სრული მორჩილება. ტანსაცმელს ატარებდა უბრალოს; უპირატე-



სობას ანიჭებდა ბუნებრივ ფერებს, ყოველ მსმსაქმეში ღვთიურად ანათებდა უხვი მადლი. (1:5)

ღვთისმშობელს თავად სურდა ჩვენს კურთხეულ მიწაზე მოსახლე ერის ქრისტიანად მოქცევა, მაგრამ არ ინება უფალმა, რადგან მისი მიძინების დრო დამდგარიყო. პირველად სახარება საქართველოში იქადაგეს მოციქულებმა – ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ. საქართველოს ეკლესია მათ ოდითგანვე ქართველთა განმანათლებლებად მიიჩნევდა. მართალია, მათ ქადაგებას არ მოყვლია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, მაგრამ სწორედ მათ ჩაყარეს ჩვენში ის საძირკველი, რომელზეც ქართული მართლმადიდებლობა და ავტოკეფალური ქართული ეკლესია დაემკვიდრა.

ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებული წყალობა ხვდა წილად, რომლის მსგავსიც, შეიძლება ითქვას, სხვას არ რგებია. ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე VI საუკუნეში ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილმა ებრაელებმა საქართველოში ჩამოიტანეს წმინდა ილია წინასწარმეტყველის ხალენი – გამორჩეული სიწმინდე ძველი აღთქმისა, რომელიც ერთგვარ წინამორბედად იქცა იესო ქრისტეს კვართის ჩვენს ქვეყანაში ჩამობრძანებისა.

საქართველოში ინახება ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ ერთმორწმუნე ქართველი მეფე მირიანისათვის გამოგზავნილი ჯვრის ძელის ნაწილთან ერთად ორივე ხელის სამსჭვალე, რომლითაც ჯვარცმული იყო ძე ღვთისა და ფიცარიც, რომელზეც უფლის ფეხები იყო მიმსჭვალული, პერანგი (კვართი) ქრისტესი, წმინდა ნინოს ჯვარი ვაზისა, თომა მოციქულის თავის ქალა და სხვა სიწმინდენი.

საქართველოს ეკლესია, ნიშნად ღვთის განსაკუთრებული წყალობისა და მფარველობისა, უფლის კვართზეა დაფუძნებული. ქართულ მიწაში დაფლული, ღვთისმშობლის ხელით ნაქსოვი, უკერველი პერანგი ქრისტესი, ქართველთა ცნობიერებაში სამარადისოდ გამოისახა ერთიანი და განუყოფელი ეკლესიის სიმბოლოდ. კვართის მობრძანების შემდეგ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში სამოციქულო მისიით ანდრია

პირველწოდებული გამოეშურა.

ქრისტეს კვართის საქართველოში არსებობას მთელი ქართველი ხალხი, ქართული სამეფო გვარის ბაგრატიონთა წარმომადგენლები განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს. უფლის კვართი ამოტვიფრულია ერეკლე II და ვახტანგ VI გერბებზე; საქართველოს გერბზე (პროტექტორატის პერიოდისა); დავით ბატონიშვილის (გიორგი XII ძის) გერბსა და ბაგრატიონთა დინასტიის სამეფო დროშაზე. ასევე, ერეკლე II დიდ სახელმწიფო ბეჭედზე. ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ ქრისტეს კვართი (როგორც განუყოფელი სამოსელი უფლისა) არა მხოლოდ ქრისტეს ეკლესიის განუყოფელობის, არამედ მთელი საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ მოიაზრებოდა. (3:4)

ქრისტეს კვართი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული სიწმინდეა, რომელზეც სვეტიცხოვლის ტაძარია აშენებული.

წმიდა ნინოს საქართველოში მოსვლის შესახებ დიდი თამარ მეფის ეპოქის ცნობილი მოღვაწე, კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი (გულაბერიძე) გვასწავლის – ინება უფალმა და დედის ნაცვლად მოციქულთა სწორი კაბადოკიელი ქალწული მოუვლინა ქართველთა მხარეს. ღვთის განგებით, საქართველოს განმანათლებლად მოსული ღირსი დედა მალე თავად შეირაცხება „ქართლისა მაცხოვრად“, „დედად ქართველთა თემისაო“. მის მიერ ქვეყნად მოწენილმა განუქარვებელმა ღვთიურმა მადლმა შეაძლებინა ერს ხსნა და აღდგომა განსაცდელით აღსავსე მრავალსაუკუნოვან ისტორიულ ასპარეზზე. სწორედ ამიტომ იქცა ღირსი დედის სახე საქართველოსთვის უწმინდეს ხატად, ხოლო ვაზის ნასხლევისაგან შექმნილი, ქალწულის თმით შეკრული ჯვარი – მართლმადიდებელი ქრისტიანობის უპირველეს სიმბოლოდ. (4:30)

„სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაზრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო...“ – ასე უგალობს ამ ქალწულს ქართველი ერი.

არის მოსაზრება, რომ ქრისტიანობას ქართული საზოგადოებრიობა მისი წარმოშობის დროიდანვე უნდა გასცნობოდა, ერთი მხრივ,

პირველწოდებული გამოეშურა.

ქრისტეს კვართის საქართველოში არსებობას მთელი ქართველი ხალხი, ქართული სამეფო გვარის ბაგრატიონთა წარმომადგენლები განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს. უფლის კვართი ამოტვიფრულია ერეკლე II და ვახტანგ VI გერბებზე; საქართველოს გერბზე (პროტექტორატის პერიოდისა); დავით ბატონიშვილის (გიორგი XII ძის) გერბსა და ბაგრატიონთა დინასტიის სამეფო დროშაზე. ასევე, ერეკლე II დიდ სახელმწიფო ბეჭედზე. ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ ქრისტეს კვართი (როგორც განუყოფელი სამოსელი უფლისა) არა მხოლოდ ქრისტეს ეკლესიის განუყოფელობის, არამედ მთელი საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ მოიაზრებოდა. (3:4)

ქრისტეს კვართი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული სიწმინდეა, რომელზეც სვეტიცხოვლის ტაძარია აშენებული.

წმიდა ნინოს საქართველოში მოსვლის შესახებ დიდი თამარ მეფის ეპოქის ცნობილი მოღვაწე, კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი (გულაბერიძე) გვასწავლის – ინება უფალმა და დედის ნაცვლად მოციქულთა სწორი კაბადოკიელი ქალწული მოუვლინა ქართველთა მხარეს. ღვთის განგებით, საქართველოს განმანათლებლად მოსული ღირსი დედა მალე თავად შეირაცხება „ქართლისა მაცხოვრად“, „დედად ქართველთა თემისაო“. მის მიერ ქვეყნად მოფენილმა განუქარვებელმა ღვთიურმა მადლმა შეაძლებინა ერს ხსნა და აღდგომა განსაცდელით აღსავსე მრავალსაუკუნოვან ისტორიულ ასპარეზზე. სწორედ ამიტომ იქცა ღირსი დედის სახე საქართველოსთვის უწმინდეს ხატად, ხოლო ვაზის ნასხლევისაგან შექმნილი, ქალწულის თმით შეკრული ჯვარი – მართლმადიდებელი ქრისტიანობის უპირველეს სიმბოლოდ. (4:30)

„სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაზრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო...“ – ასე უგალობს ამ ქალწულს ქართველი ერი.

არის მოსაზრება, რომ ქრისტიანობას ქართული საზოგადოებრიობა მისი წარმოშობის დროიდანვე უნდა გასცნობოდა, ერთი მხრივ,

საქართველოში მოსახლე ებრაელებისა და მუსლიმთა მხრივ, ქართველთა მაღალი სამხედრო წრეებისა და მოღვაწე-მეომართა მეშვეობით. მოღწეულია ცნობა ქართველი წარმართი მეფის რევ მართალის შესახებ (დაახ. III საუკუნის შუა წლები), რომელიც სახარებას „მცირედ“ გაცნობილი ყოფილა. ქრისტიანების გავლენით რევს აუკრძალავს ზოგიერთი წარმართული ჩვეულება, შემოუღია ღარიბთათვის დახმარება და სხვა. (17:555)

ქრისტიანობა ადრიდანვე იმდენად მომძლავრებული ყოფილა, რომ უკვე I მსოფლიო საეკლესიო კრებას (325) ესწრებოდნენ ტრაპიზონის ეპისკოპოსი დომნუსი და ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე. შავი ზღვის ქვეყნების ქრისტიანულ მრევლში ბერძნებთან ერთად ქართველი მოსახლეობაც იგულისხმებოდა. (17:556)

ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესია, რომელიც შეიქმნა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღებისთანავე, იყო ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში. მირიან მეფის თხოვნით რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (306–337) აქ მოავლინა ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდელი და სამი დიაკონი, რომლებმაც აკურთხეს მცხეთაში აშენებული ეკლესია და ხალხისათვის შეასწრულეს ნათლისღების საიდუმლო. მცხეთის ეპისკოპოსი V საუკუნემდე „მთავარეპისკოპოსის“ ტიტულს ატარებდა.

ქართულმა ეკლესიამ თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე სამი პერიოდი განვლო: ანტიოქიური, ნაციონალური და რუსული.

დაახლოებით 466–468 წლებში ვახტანგ გორგასალმა შეცვალა ეკლესიის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სტრუქტურა. დაარსა საეპისკოპოსოები (პირველად 12), რომელთა უმაღლესი მესაჭე კათოლიკოსი იყო. იგი იერარქიულად დამოუკიდებელი (ავტოკეფალიური) გახდა. პირველი კათოლიკოსი იყო პეტრე. (16:346)

ქართლში ქრისტიანობის (დიოფიზიტობის) დაცვა-განმტკიცებასა და საეკლესიო ცხოვრების აღორძინებაში დიდი როლი ითამაშეს

ასურელმა მამებმა. ისინი საქართველოში მოვიდნენ VI საუკუნის პირველ და მეორე ნახევარში. სირიიდან მოიღწეს მრავალი სიწმინდე: „მოწამეთა ნაწილნი“, „ძვალნი მოწამეთანი“, ქელესიდან – „ხელთუქმნელი ღვთაების ხატის“ პირი, ააშენეს თექვსმეტზე მეტი მონასტერი (ზედაზნის, გარეჯის, მღვიმის, ალავერდის, მარტყოფის, ნეკრესის და სხვა).

VII-X საუკუნეებში, ქართლში არაბთა და ბიზანტიის დამპყრობთა პერიოდში, ეკლესიამ დიდი როლი ითამაშა ერთიანი ქართული ენის, სულიერი კულტურის, ფსიქიკისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის იდეის გაძლიერებაში. მწერალმა იოანე საბანისძემ (VIII ს) მაჰმადიან არაბ დამპყრობთა პოლიტიკაში ნათლად დაინახა ეროვნული გადაგვარების საფრთხე და მკაცრი კრიტიკით გამოვიდა იმ ქართველების წინააღმდეგ, რომლებიც არაბთა წინაშე შიშით ირყეოდნენ „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. მან ქართველობაში ეროვნული სიამაყის გასაღვივებლად კარგად გამოიყენა არაბი აბოს გაქრისტიანების ფაქტი.

VIII საუკუნიდან ფართო სამონასტრო მოძრაობა დაიწყო ტაო-კლარჯეთში, სადაც დაარსდა ხანძთის საარქიმანდიტრო. ამ მხარეში მოქმედებდა მონასტრები: ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი, ბანა, ხახული, ზარზმა და სხვა.

VIII-X საუკუნეებში ქართულ სავანეებში მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერი ბერები: გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულე, მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, იოანე-ზოსიმე, საბა მტბევარი, სერაპიონ ზარზმელი და სხვა.

ქართული ეკლესიის მთავალმა საშინაო და საგარეო მდგომარეობამ საეკლესიო წრეებში წარმოშვა სხვადასხვა ეროვნული იდეები. მაგ: იოანე-ზოსიმე (XI ს) ქართულ ენას აღიარებდა მსოფლიო საეკლესიო ენად, რომელზეც იესო ქრისტეს უკანასკნელად უნდა განესაჯა ადამიანები. („ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“).

ჯერ კიდევ V საუკუნიდან დაამყარა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ კავშირი რომის, ანტიოქიის (სირიის), იერუსალიმის (პალესტინა), კონსტანტინეპოლის საპატრიარქო

ცენტრებთან. სირია-პალესტინაში გაჩნდა ქართველი სავანეები, სადაც ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ (საბაწმინდაში, მთაწმინდაში, სინის მთაზე და სხვა), X საუკუნის დამლევს ქართველთა მონასტრები დაარსდა ათონზე (საბერძნეთი).

XI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი მესაჭე ატარებდა „პატრიარქის“ წოდებას. პირველი კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკი (1010-1033) რიგით მეექვსე იყო მსოფლიო პატრიარქთა შორის. საქართველოს საპატრიარქო ტერიტორიულად ემთხვეოდა სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებს.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის (1089-1125) დროს. მეფემ საეკლესიო საქმეების მეთვალყურედ სამეფო კარიდან დანიშნა მწიგნობართუხუცესი – ჭყონდიდელი, სამღვდლოებაში ფეხმოკიდებული დისციპლინურ-ზნეობრივი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემოიღეს მკაცრი კანონები (რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, 1104. დაარსდა ახალი სამეფო მონასტრები: გელათი, შიომღვიმე, დავით გარეჯა და სხვა. ამას მოჰყვა საერო მმართველი წრის გაძლიერებული ზრუნვა ეკლესიის პრივილეგიებისა და მატერიალური მდგომარეობის გაზრდისათვის.

XIII-XVI საუკუნეებში საქართველო მაკჰადიანთა გარემოცვაში მარტო აღმოჩნდა. სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია გამაერთიანებლის როლს ასრულებდა.

XVI-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში მოქმედი იყო შემდეგი საეპისკოპოსოები: ბედიის, დრანდის, მოქვის, ჭყონდიდის, ცაიშის, შემოქმედის, ნინოწმინდის, ჯუმათის, გელათის, ქუთაისის, ხონის, ცაგერის და ნიკორწმინდის. თურქების მიერ საქართველოს ტერიტორიის მიტაცებისა და იქ ისლამის გავრცელების გამო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მოაკლდა საეპისკოპოსოებიც და მრევლიც.

XVI საუკუნის შუა წლებიდან ოსმალებმა მიიტაცეს სამცხის სამთავროს პროვინციები – აჭარა და ჭანეთი (ლაზეთი), ხოლო



XVI საუკუნის დასასრულს სამცხის სამთავრომ დაიპყროს. ამავე პერიოდში საქართველოს ავიწროებდნენ ჩრდილო დასავლეთიდანაც. აქ ოსმალებმა თავის გავლენის ქვეშ მოაქციეს ჯიქები და აფხაზების ნაწილი. დაპყრობილ ტერიტორიაზე ისლამმა იწყო გავრცელება, რამაც გამოიწვია ქართული მართლმადიდებლური ტაძრების გაუქმება.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801) რუსეთის ცარიზმმა საქართველოს ეკლესიას გაუუქმა ავტოკეფალია და კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა (აღმოსავლეთ საქართველოში 1811 წელს, დასავლეთ საქართველოში 1814 წელს). მან საქართველოს ეკლესია ცალკე საეგზარქოსოს სახით შეუერთა რუსეთის ეკლესიას. პირველი ეგზარქოსი იყო ქართველი, ვარლამ ერისთავი, ხოლო შემდეგ ეგზარქოსებად ნიშნავდნენ რუსეთიდან მოვლინებულ რუს მღვდელმთავრებს.

1818 წელს საეკლესიო მიწებისა და გლეხების დიდი ნაწილი გადავიდა ე.წ. „საეკლესიო უწყებაში“, სამღვდელოებას დაენიშნა ჯამაგირი. ამით ცარიზმი ახორციელებდა თავის მიზანს – ქართველი ერის დეგრადაციას, ერის დაკნინებას.

ამრიგად, ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა საქართველოს ეკლესიასთან დამოკიდებულებაშიც გამოვლინდა. იგი რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ გარდაიქმნა. კათოლიკოსობის ნაცვლად ეგზარქოსობა დაწესდა, რომელთაც უფლება მიენიჭათ უწმინდესი სინოდის წევრებად წოდებულიყვნენ. საეკლესიო საქმეების სამართავად 1815 წელს დისკასტერია დაარსდა. თბილისში „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა“ შეიქმნა. 1814 წელს ეგზარქოსად საქართველოში რიაზანის არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი დაინიშნა. ქართულ ეკლესიაში რუსული წირვა-ლოცვა შემოიღეს. თეოფილაქტეს მითითებით დაიწყო საეკლესიო ქონების აღწერა, რათა იგი ხაზინას გადასცემოდა.

106 წლის განმავლობაში ცარიზმის საეკლესიო მოხელეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩვენი ეკლესიების სულიერ და ნივთიერ მარცვაში. ცდილობდნენ აღმოეფხვრათ მასში ქართული ენა, წეს-ჩვეულებები, რადგანაც ეკლესიას ოდითგანვე გამორჩეული ადგილი



ეკავა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ეკლესიის წარსულებითა და გადაგვარებით რუსეთის სასულიერო ხელისუფლება ქართველს ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთ მტკიცე ბურჯს აცლიდა.

საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. ეს მხოლოდ ცარიზმის დამხობის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამ პერიოდში საქართველოში ოთხი ეპარქია იყო: მცხეთა-თბილისის, არქიეპისკოპოსი ლეონიდე – მღვდელმთავარი; იმერეთის – ეპისკოპოსი გიორგი; გორის – ეპისკოპოსი ანტონი და ალავერდის – ეპისკოპოსი პიროსი.(31)

1917 წლის 12 მარტს (25 მარტს) მცხეთაში ათი ათასზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი. გამოცხადდა საქართველოს ავტოკეფალია. მიიღეს სიგელ-გუჯარი მისი აღდგენის შესახებ. საქართველოს სამღვდელოებამ ამავე კრებაზე გადაწყვიტა ივერიის ეკლესიაში წირვა-ლოცვა შესრულებულიყო ქართულ და რუსულ ენებზე.

1917 წლის 1 ოქტომბერს მცხეთაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხეს კირიონ II (საძაგლიშვილი), მიტროპოლიტად ეპისკოპოსი ანტონი (ალექსი გიორგაძე), ჭყონდიდელ-ეპისკოპოსად არქიმანდრიტი ამბროსი (ბესარიონ ხელაია), ლეონიდე დარჩა თბილისის მიტროპოლიტად, გორის ეპისკოპოსი გახდა დავითი, ალავერდის – პიროსი.(31)

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ საკათოლიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით 12 (25) მარტი დაწესდა საეკლესიო და ეროვნულ დღესასწაულად.

1919 წელს საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალიის აღდგენის ორი წლისთავი გადაიხადა სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „... ქრისტესა და სამშობლოს სახელით მოგმართავთ ჩემს სულიერ ძეთა და ასულთ: სამუდამოთ დამავალეთ, მყავთ „შვილთა ზედა სახარულევან მამად“, ყურად იღეთ ჩემი ვედრება, იყვარებდეთ ურთიერთას, მოიშორეთ და დაივიწყეთ ყველაფერი, რაც ერთი ძეორეს გაძულებთ, ერთი ძეორისაგან გთიშავთ, გაბრკოლებთ



მამულის საკეთილდღეოდ შეთანხმებულად მუშაობაში, მოსიყვარულე შვილებად შეუდექით მხრებში სამშობლოს და დაარწმუნეთ მტრები და მოყვარენი, რომ საქვეყნო გარიგებაში დიდსა და პატარას გაქვთ ერთი ენა, ერთი ნებისყოფა და ერთი მსოფლმხედველობა. იცოდეთ და გწამდეთ, რომ მარტოდ „სიყვარული ალაშენებს“. დაე, ამიერიდან თქვენი შეთანხმებული მოქალაქეობით ჰსცნან ყოველთა, რომ ქართველებს გვიცოცხლნია და ვცოცხლობთ ღვთის სიყვარულით, რომ ჩვენ ვსუნთქავთ სამშობლოსა და მოყვასთა ბედნიერება-კეთილდღეობისათვის. იყავნ, იყავნ!“ (22)

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ (1921 წლის 25 თებერვალი) რსფსრ სახკომსაბჭოს 1918 წლის 20 იანვრის დეკრეტით და საქართველოს მთავრობის 1921 წლის 18 აპრილის სათანადო დეკრეტით ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო ახალი უფლებრივი სტატუსი. ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, სკოლა კი ეკლესიას. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლით „საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სინდისის თავისუფლება ანუ უფლება – აღიარებდნენ ნებისმიერ რელიგიას ან არ აღიარებდნენ არავითარ რელიგიას. ასრულებდნენ რელიგიურ კულტებს ან ეწეოდნენ ათეისტურ პროპაგანდას!“

ეკლესიას ჩამოერთვა სამოქალაქო აქტების წარმოების უფლება, საღვთისმეტყველო საგნები ისწავლებოდა მხოლოდ სპეციალურ სასულიერო სკოლებში, ყოველი რელიგიური ორგანიზაცია განიხილებოდა, როგორც მორწმუნეთა კერძო გაერთიანება, რომელთა მიზანია ერთობლივად დაიკმაყოფილონ თავიანთი რელიგიური მოთხოვნები. საკულტო შენობა და ინვენტარი სახელმწიფო საკუთრება გახდა. ფინანსურად რელიგიური ცენტრები და კულტის მსახურები დამოკიდებული იყვნენ მორწმუნეთა ნებაყოფილობით შენაწირზე. ეკლესიას არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო სახელმწიფო საქმეებში.

როცა საქართველოს ებრძოდა გარეშე მტერი, მას პირველი იერიში ეკლესიაზე მიჰქონდა. ქვეყნის ბოლშევიზაციამ დიდად დააზარალა და დააკნინა ქართული ეკლესია. გადაგვარებულ



ქართველთა ხელით ინგროდა, იწვოდა და მისი სახეობისა პირისა აღიგებოდა ქართული ეკლესია-მონასტრები, ძველი საღვთო წიგნები და ხელნაწერები. ეს იყო მასიური ათეიზმიზაციის, სატანის ბატონობის ხანა, მაგრამ ქართულმა ეკლესიამ გაუძლო, გადარჩა თვითონაც და ქართული სულიც გადაარჩინა.

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს როგორც სულიერ, ასევე პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ქართველი კაცი ჯვართა და მახვილით ხელში იცავდა თავის ქვეყანას მტრებისაგან.

გაბრიელ ეპისკოპოსის (გქიქოძე) განმარტებით ქართველი ხალხის ცხოვრება, მისი წარმატებები მთლიანად ქრისტიანობით იყო განსაზღვრული. ამ ხალხის მომავალიც ქრისტიანობას უნდა დაუკავშირდეს. ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ გაბრიელ ეპისკოპოსი წერდა: „არ იფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში საბრძოლო იარაღმა გაიმარჯვა, იარაღი მტერს მეტი ჰქონდა. აქ გაიმარჯვა იმ ძალამ, ზნეობრივმა ამაღლებამ, რაც მართლმადიდებლობიდან გამომდინარეობდა“. (12:26)

კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე) თავის ქადაგებებში სისტემატიურად მიუთითებდა მართლმადიდებლობის პროგრესულ როლზე ქართველი ხალხის ისტორიაში. ხალხის ეთნიკური და მორალური სიწმინდის შენარჩუნების, გარეშე მტრისაგან თავდაცვის საქმეში და ა.შ. მისი აზრით, მართლმადიდებლობამ „...შთაბერა საქართველოს ღვთაებრივი ძალა, რომელმაც განავითარა, განაძლიერა და ააყვავა ქართული ენა, განწმინდა, აღამაღლა, გააფაქიზა და გააკეთილშობილა ქართველების სულიერი ცხოვრება, ზნეობა, ყოფა-ქცევა და საზოგადო შეხედულება ქვეყნიერებაზედ, დავრდომილი და ნაწილ-ნაწილ დაყოფილი ერი ააღორძინა, შეაერთა და გარდაქმნა სახელოვან, მძლავრ სამეფოდ. შემუსრნა მის გარშემო ათასჯერ მასზედ მძლავრნი და მაგარნი მტერნი“. (12:32)

აღნიშნავდა რა მე-20 საუკუნის დასაწყისში გარდაქმნების შემდეგ წარმოშობილ სიძნელებებს და ხალხის მორალური დაცემის ფაქტებს, კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ამ მდგომარეობიდან



თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად შერყევილი რელიგიური რწმენის აღდგენა მიაჩნდა.

1877 წლის 31 დეკემბრის გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებულ საახალწლო წერილში „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე წერდა: „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადაუღელეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დაუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი სისხლი ჩავატანეთ და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი, გავწყდით, გავიჟლიტენით, გავიწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭმა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩითვენს მამულს სამართლის თავმოწონებით ვეძახით“.

დიდი ილიას აზრით, „ღმერთი არს სიყვარული და სიყვარული მხსნელია ქვეყნისა“.

„საქართველოს მოკლე ისტორიის“ ავტორი პლატონ იოსელიანი წერდა: „საქართველოს ისტორია განისაზღვრება ქრისტიანობის ისტორიით, ეს იყო ქართველი ხალხის სულიერ-მოქალაქეობრივი განვითარების პირველი და ძირითადი ელემენტი“. (12:35)

საეკლესიო თემზე პუბლიკაციის ავტორთა აზრით, ქრისტიანობა განსაზღვრავდა ქართველი ხალხის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ განვითარებას. დეკანოზი ნთალაკვაძე მე-20 საუკუნის 20-იან წლებში წერდა: „თავისუფალი საქართველო და მისი ეკლესია – ეს ორი ცნება დღემდე ერთ სხეულად იყო შედუღებული. ერთი მეორეში დაიბადა, ერთი მეორეს ზრდიდა, აცხოვრებდა, ამოძრავებდა“. (12:36)

1917 წელს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ქართული ეკლესია და სამღვდელეობა“ სოფრომ მგალობლიძევილი ხაზს უსვამდა ქრისტიანობის მნიშვნელოვან როლს ქარველი ხალხის ისტორიაში, მიუთითებდა ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ სარწმუნოების მკვეთრად დაცემის ფაქტზე და ქართველი ხალხის მორალური გადაგვარებისაგან თავის დახსნის

პირობად რელიგიური რწმენის აღგენა-განმტკიცებას თვლიდა.

„ქართველი ერი, ქრისტეს სარწმუნოების სიყვარულით აღფრთოვანებული და სულიერად განმტკიცებული თავგამოდებით ებრძოდა თავისზედ უძლიერეს მტერს – სპარსელებს, არაბებს, სელჯუკებს, ლეკებს, მონღოლებს და სხვა შინაურ, გარეულ მტრებს და თავისი მიწა-წყალი არ დასთმო, დაიცვა მამა-პაპის სალოცავნი, ენა და შეინარჩუნა თავისი ეროვნული ელფერი“.
– წერდა პ. კარბელაშვილი. (12:35)

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II წერდა: „ხალხმა საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა თავისი ქვეყნის თავისუფლება მხოლოდ მართლმადიდებელი რწმენის საშუალებით, თუ ისინი ლაპარაკობენ თავიანთ მშობლიურ ენაზე და არსებობენ როგორც დამოუკიდებელი ხალხი... ამაში უცილობლად თავიანთ მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა უმაღლოდნენ“ (12:32)

ყოველივე აქედან გამომდინარე ქრისტიანობის პრინციპები ქართულ მართლმადიდებლობაში წმინდად იქნა დაცული, რამაც განაპირობა ქართველი საზოგადოების პროგრესული განვითარება, ჩამოყალიბება, ხოლო შემდეგში შეუნარჩუნა ქართველ ერს მეობა, ენა, ხასიათის სიმტკიცე, თავდადება და სხვა თვისებები. დაიცვა ერი გარეშე მტრებისაგან, სხვა ერებში გათქვეფისაგან. ამავე დროს ქრისტიანობამ შექმნა ქართული ნაციონალური კულტურა. განსაზღვრა მისი შინაარსი, დასახა ქართული ხელოვნებისა და კულტურის განვითარების გზები და საშუალებანი.

ქართულმა მართლმადიდებლობამ დადებითი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის სულიერ კულტურაზე. ჯერ კიდევ V საუკუნისათვის ქართულ ენაზე არსებობდა სახარებები („ევანგელიე“), „პავლე“ (ეპისტოლენი), „ასერგასნი ფსალმუნნი“ (დავითნი), ბერძენ „მოწამეთა წიგნი“. „მრწამსი“ და სხვა. ქართულად არსებობდა ლიტურგიკული პრაქტიკისათვის აუცილებელი საღვთო წერილის (ბიბლიის) ძირითადი წიგნები.

ქართულ ენაზე დაიწერა ეროვნული წმინდანის – შუშანიკის ცხოვრება (Vს). ქართულ კალენდარში თანდათან იმატა ეროვნულ წმინდანთა (შუშანიკი, რაჟდენი, ევსტათი, აბიბოს ნეკრესელი და

სხვა) ხსენების დღეებმა.

X საუკუნისათვის ქართულ ენაზე მოიპოვებოდა მდიდარი ორიგინალური აგიოგრაფიული და საისტორიო მწერლობა. ბერძნულიდან ითარგმნა საეკლესიო პრაქტიკისათვის საჭირო ძირითადი ლიტერატურა. მაღალ დონეს მიაღწია საეკლესიო არქიტექტურამ, მუსიკამ, სახვითმა ხელოვნებამ.

ქართველ მოღვაწეებს თავისი წვლილი შეჰქონდათ ზოგად ქრისტიანულ მწერლობაში. მაგალითად, აღსანიშნავია ისეთი განთქმული ფილოსოფიური ნაწარმოების შექმნა X საუკუნეში, როგორც იყო „სიბრძნე ბალავარისი“ (ქართველი მწერლის მიერ დამუშავებული აღმოსავლური თქმულებები ბუდას შესახებ), რომელიც შემდეგ ექვთიმე ათონელმა ბერძნულად გადაიღო, ხოლო აქედან შემდეგ ლათინურად ითარგმნა და მთელ ევროპაში გავრცელდა.

XI-XII საუკუნეებში ჯერ ნაწილობრივ, შემდეგ კი მთლიანად ითარგმნა „დიდი სჯულისკანონი“ (ნომოკანონი). არა ერთი ნაშრომი ითარგმნა და დაიწერა თეოლოგიის, ისტორიისა და სხვა დარგებში. ამ საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით სახელგანთქმულ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებს, გიორგი მცირეს, ლეონტი მროველს, ჯუანშერს, არსენ ბერს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს, იოანე პეტრიწს და სხვა. საეკლესიო ნაწარმოებების გვერდით ამ პერიოდში განსაკუთრებით მოძრავლდა საერო თემატიკის ქმნილებები ისტორიაში, პოეზიაში, პროზაში. მუშაობა მიმდინარეობდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქართულ ცენტრებში: გელათის აკადემიაში (დარსდა 1106 წ.), შიომღვიმეში, ათონზე, პეტრიწონში (ბულგარეთი, 1083 წ.), იერუსალიმის ჯვრის მონასტერში (XI საუკუნის პირველი ნახევარი), შავ მთასა, სინის მთაზე და სხვა.

XI საუკუნეში შეიქმნა საეკლესიო არქიტექტურის საუკეთესო ძეგლები: ბაგრატის ტაძარი (ქუთაისი), სვეტიცხოველი (მცხეთა), სამთავისი (ქართლი), ალავერდი (კახეთი), ნიკორწმინდა (რაჭა) და სხვა.

ქართველმა ხალხმა შემოიღო საკუთარი — ქართული



რელიგიური დღესასწაულები. დააკანონა „ქართველთა სათუალავის“ სახელწოდებით ცნობილი წელთაღრიცხვის საკუთარი, ქართული კალენდარი, შეიცვალა ლიტურგიული კრებულების შემადგენლობანი, ორიგინალური ქართული ჰიმნებით შეივსო ჰიმნოგრაფიული ტექსტები.

ითარგმნებოდა წმინდა საეკლესიო წიგნებიც. თარგმნიდნენ „არა მონურად, სიტყვასიტყვით, არამედ თავისუფლად და თავისებურად“. ბევრის მიმანიშნებელია ის, რომ ბიბლიის ქართულ ენაზე თარგმნის დროს ითარგმნებოდა კატენები (ბიბლიის ტექსტის განმარტება, რომლებიც მიწერილი იყო ხელნაწერის გვერდით აშიებზე) და რომ ქართული სრული სახის კატენებიანი ბიბლია უნიკალურია – მისი მსგავსი არ მოიპოვება არც ერთი სხვა ხალხის ისტორიაში. (7:57)

„...ქართველები, – წერს მკვლევარი ელგუჯა ხინთიბიძე, – ბიზანტიურ კულტურას ყოველთვის შემოქმედებითად ითვისებდნენ. მხოლოდ ამგვარი კრიტიკულ–შემოქმედებითი მიდგომა გახდა საწინდარი იმისა, რომ ძველმა საქართველომ შექმნა განუმეორებელი ორიგინალური ქართული აგიოგრაფია, ქართული ფრესკა, ქართული საგალობელი და რუსთაველის პოემა“. (12:75)

ქრისტიანობამ საქართველოში ხელი შეუწყო წერა-კითხვის გავრცელებას, ქართულ ენაზე მწერლობის განვითარებას, ქრისტიანული ღვთისმსახურების საჭიროებისათვის სხვადასხვა ენიდან თარგმნას, უმთავრესად ბერძნულიდან. ქრისტიანობამ გავლენა მოახდინა ქართველთა ზოგად ფსიქოლოგიურ-ეროვნული თვისებების ფორმირებაზე. საერთო საეკლესიო ქართულმა ენამ, საერთო საკულტო წეს-ჩვეულებებმა კულტურულად შეაკავშირა ქვეყნის სხვადასხვა კუთხე. სამშობლოს ცნება სათემო-კუთხურ ფარგლებს გასცილდა და უკვე VIII-X საუკუნეებში გავრცელდა მთელ იმ ტერიტორიაზე, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ტარდებოდა. (17:555)

თანამედროვე ქართველ ღვთისმეტყველთა აზრით „ქართველ ხალხს ქრისტიანულმა მადლმა გაცილებით მეტი მოუტანა, ვიდრე სულიერი კულტურის აყვავებაა, ქრისტიანობის გარეშე ჩვენ,



როგორც თვითმყოფი ერი ვერ ვიქნებოდით, მხოველებოდით... უფრო სწორად, დაახრჩობდა მღვრიე ტალღები ჩვენს ლამაზ კუნძულს... მოგვსპობდა ის გარემოცვა, ის ურჩხული სისხლით დამთვრალი, ვერ აიტანდა ჩვენს სულსა და ქრისტიანობას... მაშასადამე, ქრისტიანობამ მოგვანიჭა გადარჩენა, შეგვინარჩუნა ეროვნული სიცოცხლე და თავისუფლება“. (12:82)

უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II 1999 წლის 25 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელობის შესახებ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

„... საქართველოს ეკლესია არის უძველესი ქრისტიანული ეკლესია, რომელიც მოციქულ ანდრია პირველწოდებულის მიერ არის დარსებული. IV საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. V საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენი დიდი მეფის ვახტანგ გორგასალის ღვაწლითა და უპირველეს ყოვლისა, ღვთის განგებით, საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია მიენიჭა. ჩვენი ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიაა. დღეს ერთხელ კიდევ უნდა ვიფიქროთ, თუ რა არის მართლმადიდებლობა? რატომ ვუსვამთ ჩვენ ამას ხაზს? და რატომ გახდა მართლმადიდებლობა ასეთი მიმზიდველი ევროპაში, ამერიკასა და საერთოდ, მსოფლიოში? მართლმადიდებელი ეკლესია არის ის ეკლესია, რომელიც ინახავს რწმენასა და ტრადიციებს ერთიანი სამოციქულო ეკლესიისა. მართლმადიდებლობას საუკუნეების განმავლობაში არ მიუმატებია და არც მოუკლია მისთვის არაფერი. ამიტომ ჩვენი ეკლესია არის სამოციქულო ეკლესია. ეს არის ის ეკლესია, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი. ეს არის ის ეკლესია, რომელიც ამთლიანებდა და აღუღებდა ქართველ ერს. თქვენ კარგად გახსოვთ ჩვენი წარსულიდან, რომ იყო შემთხვევები, როცა გარეშე თუ შინაური მტერი ცდილობდა, რომ დაეყო საქართველო და ზოგიერთ შემთხვევაში აღწევდა კიდევ ამას. ეკლესია იყო ერთადერთი ძალა, რომელიც ამთლიანებდა ჩვენს ერს. აი, ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით უნდა



გავუფრთხილდეთ იმ ეკლესიას, რომელიც „მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მარტოლმადიდებელი ეკლესიების ზოგიერთი წარმომადგენლის დაეჭვება ავტოკეფალიის კანონიკურ მინიჭებასთან დაკავშირებით. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში განუზომელი ღვაწლი გასწია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II. 12 წლის განმავლობაში მისმა დიდმა შრომამ და ღვაწლმა ნაყოფი გამოიღო და 1990 წელს კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია (V საუკუნიდან) და მისი მეთაურის პატრიარქის ტიტული დაადასტურა. თავად კათოლიკოს-პატრიარქმა ამ ფაქტს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა მიანიჭა და მიიღო ნიშნად იმისა, რომ „ღვთის წყალობა, ღვთის ღოცვა-კურთხევა არ ტოვებს საქართველოს“.

ქართველი თავის შინაგანი ბუნებით ქრისტიანია, მისთვის ქრისტიანობა მშობლიური გარემოა. ამ გარემოში კი იგი თავისუფლად ამჟღავნებს ქართული ბუნების სიდიადეს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს უმთავრესი, რომ ქრისტიანობა არის არა კეთილი ტრადიცია, არამედ ეს არის სჯული, რომელმაც უნდა მოგვანიჭოს მარადიული ბედნიერება გაბრწყინებული წმინდა სამების სანთლით. მიზანი ქრისტიანი ადამიანის ცხოვრებისა არის სულის ცხონება, ზეციური სასუფეველის დამკვიდრება.

„მოვიდა... ანდრია დიდ-აჭარას...“

აჭარის, ამ უძველესი და ულამაზესი კუთხის, მიწა-წყალზე თექვსმეტი საუკუნის მანძილზე რეკდნენ ეკლესიის ზარები. აქედან გავრცელდა ქრისტიანობის ჭეშმარიტი ნათელი მთელ საქართველოში. აქ იქადაგა ღვთის სიტყვა პირველად წმიდა ანდრია პირველწოდებულმა და პირველი ეკლესიაც აქ აიგო ღვთისმშობლის სახელზე.

„ქართლის ცხოვრებაში“ ანდრია პირველწოდებულსა და აჭარის მოქცევაზე ნათქვამია: „მოვიდა... ანდრია ქალაქად ტრაპიზონად... სადაც იგი დაჰყო ჟამი მცირედი. განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგება სახარებისა... და მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინა ურწმუნოთაგან და შეწევნითა ღმრთისათა და წმიდისა მის ხატისათა ყოველნივე მადლობით მოითმინნა, ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად. რამეთუ ადგილსა, რომელსაც დაასვენა ხატი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა, აღმოეცენა წყარო ფრიად შუენიერი და დიდი, რომელი იგი ვიდრე ღღესაცა დაუწყუედელად აღმოსდის. და შემოკრიბეს ყოველნივე ყოფით-კერძო მკუიდრნი მის ქუეყნისანი და ნათელსცა ყოველთა სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, და დაადგინა მღუდელნი, და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღუარი სარწმუნოებისა. და აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისასა. და ვითარცა ენება წმიდასა მოციქულთა მიერ წარსვლა. ევედრებოდეს და არა უტეკებდეს წარსვლით, არამედ ეტყოდეს „უკეთუ შენ წარხვალ, ხატი ეგე ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა აქა დაგუისუენე, სასოდ და მცველად ჩუენდა“. ხოლო წმინდამან მოციქულმან ანდრია შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა და დასდვა ხატსა მას ზედა და მეყვსეულად გამოსახა სახე უცვალებელი ხატისა მის და მისცა იგი მათ. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს და დაისვენეს ეკლესიასა შინა



თუისსა პატივით, რომელ-იგი ვიდრე დღეს აქამდე უკეთეს? ხოლო წმიდასა მოციქულსა მისცეს მშუიდობა და მოწყალედ მოიკითხეს, ამბორი უყვეს და წარმოგზავნეს..." (7:39)

ანდრია პირველწოდებულთან ერთად სახარება იქადაგა სვიმონ კანანელმა (დაკრძალულია ახალი ათონის ახლოს), მატათამ (დაკრძალულია გონიოში) და სხვებმა. აქ, აჭარის მიწაზე, მოღვაწეობდნენ დიდი მამანი, დიდი მოწამენი, იწერებოდა წიგნები, საგალობელნი. გადმოცემით, აქ იკერებოდა მთელი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მსახურთა ტანსაცმელი. საუკეთესოდ ითვლებოდა აქაური ნაქსოვი თუ ნაკერი საეკლესიო სამკაული, ოლარები, ხატების ფარდები და ძველდღმთავართა შესამოსელი. ფართოდ იყო გაშლილი საეკლესიო მწიგნობრული მოღვაწეობა.

ეკლესია-მონასტრების ნაშთების, ადგილთა სახელწოდებისა და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარაში ძლიერი ქრისტიანული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები არსებობდა. იშვიათად ნახავთ სოფელს, სადაც ქრისტიანული ყოფისა და კულტურის კვალი დღემდე არ იყოს შემონახული. ამის ნათელი დადასტურებაა თ.სახოკიას, გ.ყაზბეგის, ზ.ჭიჭინაძის, ა. ავალიანის, სხვა მეცნიერთა და წლების მანძილზე ადგილზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები. გამოვლენილი და შესწავლილი იქნა ფეოდალურ ხანაში ხანგრძლივად მოქმედი სალოცავები. მათ შორის მნიშვნელოვანია: სხალთის წყლის ხეობაში სოფელ გამოდმა თხილვანის ტაძრის ნანგრევები, დადგინდა რომ XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან იქ მოქმედებდა იოანე მახარებლის სახელობის ტაძარი. ამავე ხეობაში ბაღიძირის ბორცვზე XI საუკუნეში აუგიათ სალოცავი ამ მხარის მფლობელ ერისთავებს – აბუსერიძეებს. IX-X საუკუნეებშია აგებული თიკნაურის ეკლესია, ასევე კალოთის, საციხურის ეკლესიები, სხალთის მცირე ტაძარი, აგარაში ვანაძეების სახელით ცნობილი სალოცავი, ჩაიხედანას, ნინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის სახელზე აგებული ტაძარი და სხვა. ნამოსახლარები და ცალკეულ ძეგლთა ნანგრევები ნათლად მეტყველებს აჭარის კულტურულ-სარწმუნოებრივ დაწინაურებას, მისი ცხოვრების მაღალ დონეს. სხვა რომ არ იყოს, ქართული



ხელოვნების საგანძურადან სხალთის დიდებულ ტაძრის დასახელებაც კმარა, ხოლო მე-13 საუკუნის ქართველი მწერლისა და ისტორიკოსის ტბელ აბუსერიძის სახელი, როგორც დიდი ქრისტიანი მოაზროვნისა და მოღვაწისა გასცდა საქართველოს საზღვრებს.

არსებობს მოსაზრება, რომ დღევანდელი ბათუმისა და სხალთის ეპარქიის ტერიტორიაზე პირველი საეპისკოპოსო კათედრა პეტრაში (ცხისძირი) დაარსდა IV-V საუკუნეებში, რომელმაც X საუკუნეში შეწყვიტა არსებობა. ამავე პერიოდში არსდება ტბეთის საეპისკოპოსო კათედრა და ტბეთის ეპისკოპოსის (მტბევაარი) სამწყსოს აჭარაც წარმოადგენდა. (7:39)

XV საუკუნის დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში წარმოიშვა შემოქმედის და ხინოწმინდის ეპარქიები. შემოქმედის საეპისკოპოსო მდებარეობდა სუფსასა და ჩოლოქს შორის, მის მღვდელმთავარს მთავარეპისკოპოსის ტიტული ჰქონდა და უმაღლეს სასულიერო ხელისუფლად ითვლებოდა. მისი რეზიდენცია ოზურგეთში იყო, ხოლო კათედრა მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარში.

ხინოწმინდის ეპარქია დანდალოს მიდამოებამდე ვრცელდებოდა. ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ოსმალთა შემოსევის შედეგად საეპისკოპოსოცა და სამწყსოც დაიკარგა. (7:38)

დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთის ყველა ეპარქია შედიოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის სამწყსოში.

აჭარაში, ისე როგორც მთელ საქართველოში, წმიდა გიორგის განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა. იგი ქრისტიანობის გავრცელებისთანავე დამკვიდრდა. ტბელ აბუსერიძემ მისი თხზულების სათაურად გამოჰყო შესავალი „ჯერ არს ხსენებაი შუენიერისა და დიდისა ახოვნისაი, რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისაი გიორგისანი და ანდერძი მისისა სასოებით შემვედრებლისა და ამათ სიტყუათა შესაკადრებლად ღირსებაებრ მთქუმელისაი“. ეს ნაწარმოები „დიდ მოწამე გიორგის“ ხსენებასთან ერთად გვამცნობს, რომ ცხმორისის და ხინანის ეკლესიები წმიდა



გიორგის სახელს ატარებდნენ. (19:73)

საინტერესო ცნობებია წმიდა გიორგისთან დაკავშირებით ისტორიულ დოკუმენტში, რომელსაც „ლოცვანი ყოვლისა სენისა მკურნალი“ ჰქვია და ე.წ. თავდგირიძის ქორონიკონს ერთვის. იგი XVIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. მასში ვკითხულობთ: „წმიდაო გიორგი ჩხარისაო, ხონისაო, ილორისაო, გორისაო, კახურისაო, დვაბზუისაო, ჭვანისაო, ვაკიჯვარისაო, ჯიხანჯურისაო, შუშანეთისაო, გვარამეთისაო, ხუცუბნისაო, დაგვისაო, ჩაქვისაო... ბაიდეთისაო, აჭის თიბისაო, აჭყვისთავისაო“. (19:74)

გაზეთ „კოლმეურნეში“ (ქედის ყოფილი რაიონული გაზეთი), 1977 წელს ისტორიის მასწავლებელმა დ. ანანიძემ ცხმორისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის შესახებ საინტერესო თქმულება გამოაქვეყნა: „სოფლის იმ ადგილას, რომელსაც ახლა „ნაომვარს“ უწოდებენ XVI საუკუნეში ჩვენმა წინაპრებმა სძლიეს მრავალრიცხოვან მტერს. მათი შთამაგონებელი ძალა წმიდა გიორგი ყოფილა. მტერმა გაიგო ქართველთა ვაჟკაცობისა და სიმამაცის „საიდუმლოება“, იქ არსებული წმიდა გიორგის ეკლესია დაანგრიეს და ნანგრევები ღელეში გადაყარეს. ამ ადგილს მას შემდეგ და დღესაც „ნასაყდარი“ ჰქვია.“

აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ქვის ნატეხი, რომელიც აღმოჩენილია ქედის რაიონის სოფელ ხარაულაში. მასზე წარწერაა: „ქრისტე, შეიწყალე გიორგი“.

აჭარა დიდხანს იბრძოდა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. მტერი ეკლესიების ნგრევასთან ერთად ცდილობდა ამოეძირკვა ქრისტიანობა. მთელი დაპყრობილი ტერიტორია ოსმალებმა დაყვეს სანჯაყებად, შემოიღეს მმართველობის თურქული წესები, დაიწყეს მოსახლეობის ძალით გამუსლიმანება. არა ერთი ადამიანი შეეწირა ძირძველი ქართული რწმენის დაცვას. ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია წერილი, სადაც ნათქვამია „რომელ ხორციელ ენას შეუძლია, რომ წარმოსთქვას თითოეულნი იმდროინდელ ქრისტიან მამათა და ღელათა დასჯა-ტანჯვანი... ვის ცოცხალს ტყავს აძრობდნენ, ზოგს ოთხ პალოზედ გაკრულს ბაწრებით გუდად იღებდნენ, ვის ნაკუწ-ნაკუწ სჭრიდნენ ხმლითა



და ვის ხანჯლით გულ-მუცელს უპობდნენ, ვის შამფურზედ გაცმულს ცოცხლებრივ ცეცხლზე სწვავენ, ვის შიშველს გახურებულ საჯდომზედ აგდებდნენ... რკინის საწვავეებით ხვრეტდნენ, ვის აღულებულ წყალში ხარშავდნენ, ვის გამდნარ ტყვიას ასხამდნენ პირში...“ მიუხედავად ამისა აჭარის მცხოვრებნი მაინც გაიძახოდნენ: „არ გავთათრდებით“. მაშინ ოსმალებმა თავი მოუყარეს ქართველებს და წაიყვანეს მდინარე ჭოროხზე. ხიდზე დაასვენეს ხატი, ხატის გვერდით იყო თავსაკვეთი ქვა. ვინც უარყოფდა ხატს – გათათრდებოდა, სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ... (8:7)

აჭარის არცერთი სოფელი თუ დასახლება არ გამაჰმადიანებულა თავისი ნებით. ზჭიჭინაძეს მოყავს მაგალითი, როცა აჭარისწყლის შესართავთან თავსაკვეთით მოხუც ქალებსა და კაცებს ჯერ ენის წვერს, შემდეგ კი თავს ჰკვეთდნენ და ფაშას უგზავნიდნენ. ხშირი იყო ჩამოხრჩობის მაგალითებიც. ერთ დღეს ქელაში ქრისტიანობის დაცვისათვის 50 კაცი ჩამოჰკიდეს ხეზე. ამავე პერიოდში ფართო ხასიათი მიიღო გოგო-ბიჭებით ვაჭრობამ. მაგალითად, მეჰმედ ფაშას 1856 წელს სტამბოლში გასაყიდად გაუგზავნია ქალ-ვაჟებით დატვირთული გემი. ოსმალთა ასეთი ძალმომრეობის წინააღმდეგ ხშირი იყო ადგილობრივი მოსახლეობის აშკარა ბრძოლები, რომელშიაც მონაწილეობას ქალებიც ღებულობდნენ. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ და წერდნენ წერილებს თავისებური ქართული ასოებით, რომელსაც „დედაბრული“ ეწოდებოდა. (23)

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, თურქებმა ზემო აჭარაში პირველი მეჩეთისა და მედრესეს აშენება მხოლოდ XIX საუკუნის 40-იან წლებში შეძლეს, ბათუმში კი ამავე საუკუნის 70-იან წლებში.

1788 წლიდან, საგარეო საფრთხის გამო, შემოქმედში ეპისკოპოსი არ მჯდარა, 1833 წელს იგი იმერეთის ეპარქიას შეუერთდა, ხოლო 1844 წლის 1 აპრილს კვლავ აღდგა გურიის ეპარქიის სახელწოდებით, მღვდელმთავრის კათედრა იყო ჯუმათის მონასტერში. 1885 წლის 12 ივნისს კი შეუერთდა სამეგრელოს



ეპარქიას და ეწოდებოდა გურია-სამეგრელოს ეპარქია, რომელიც მოიცავდა აგრეთვე აჭარას, შავშეთს, ჭანეთს, კლარჯეთს და სხვა. (11:9)

აჭარა დედასამშობლოსთან სარწმუნოებრივ ბურუსში გახვეული, მაგრამ შეურყვნელი ქართული სულით, ქართული წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით დაუბრუნდა. აჭარელი ქალი სამჭადე ცომს თითით ჯვარს დაახატავდა და იმავე გვერდით დააკრავდა – ოსმალომ არ დაინახოსო. ჩადრი ჰქონდა ჩამოფარებული, მაგრამ ქრისტიანული ჯვრით დამშვენებულ ცხელ მჭადს გატეხავდა და ჩამოურიგებდა ოჯახის წევრებს.

1916 წლის 4 მარტს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, მწერალმა და პუბლიცისტმა მემედ აბაშიძემ თბილისში ერთ-ერთ ნაღიმზე განაცხადა: „ყვავილი რომ ღეროს მოწყდება, დაჭკნება, გაყვითლდება... მიიკარით იგი გულზე, ეაღერსე და იქნება იგი ყვავილი, რაც რომ იყო. აჭარა ბედმა მოწყვიტა საუკუნეებით სამშობლოს და ნუ გიკვირთ თუ დღეს საკმაოდ ვერ უცვნიხართ. მოჰკიდეთ ხელი და ისევ თქვენთან იქნება“. (23)

საქართველომ გულში ჩაიკრა თავისი ღვიძლი შვილი, თავისი სისხლხორცეული ნაწილი. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ საქართველო ხიხანიდან იწყება, სხალთიდან იწყება.

ავტოკეფალიის აღდგენისათვის საუკუნოვანი ბრძოლა ქართული ეკლესიის გამარჯვებით დამთავრდა, რასაც მოჰყვა საეკლესიო ცხოვრების მმართველობის გადახალისება, ეპარქიათა გარდაქმნა და სხვა. ყველა ამ საკითხების გადასაწყვეტად მოწვეული იქნა საქართველოს საეკლესიო კრება 1917 წლის სექტემბერში. ბათუმიდან წარგზავნილი იყო ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ ელიავა და საეკლესიო მოღვაწე ლ. თქიქოძე.

აღდგენილი იქნა ბათომ-შემოქმედის საეპისკოპოსო, მისი მწვემსმთავარი საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს წევრი იყო. (18)

ამავე საეკლესიო კრებაზე გადაწყდა ბათომ-შემოქმედის საეპისკოპოსოს მღვდელმთავრის რეზიდენციის საკითხი, რომელიც ბათუმში უნდა ყოფილიყო. ამ იდეას ყრილობის მრავალი დელეგატი,



საეკლესიო და საერო მოღვაწე მიემხრო. მათ ყურადღება გაამახვილეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მოითხოვეს ბათომში ქართველი მწყემსმთავრის უსათუოდ ყოფნა. (18)

ბათომ-შემოქმედის ეპარქია აერთიანებდა ვრცელ სამხრეთ საქართველოს, რომელზედაც უფრო ადრე ათამდე საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა. შემდეგ ბათომ-შემოქმედის ეპარქია შეიცვალა ბათომ-შემოქმედის სახელწოდებით. ეს სახელწოდება ეპარქიამ 1995 წლის აპრილამდე შეინარჩუნა. შემდეგ ამ ერთი ეპარქიიდან ჩამოყალიბდა ცალკე შემოქმედის და ცალკე ბათუმისა და სხალთის ეპარქია.

აჭარას ჯერ ოსმალთა ბატონობის პერიოდში ძალით თავსმოხვეულმა სამასწლოვანმა უცხო სარწმუნოებამ დააჩნია თავისი დალი, შემდეგ კი სამოცდაათწლიანმა ათეისტურმა იდეოლოგიამ. ყველაფერს დააღწია თავი, ცდილობს დაუბრუნდეს თავის ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ამან განაპირობა ის, რომ აჭარაში დაიწყო და ფართოდ გაიშალა ეკლესია-ტაძრების მშენებლობა და ძველის რესტავრაცია.

აჭარის მიწაზე ბათუმის ღვთისმშობლის სახელობისა და სხალთის ტაძრების გახსნა საქართველოს საერო და სასულიერო ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. სხალთის უძველესმა ტაძარმა აჭარაში სტიქიური უბედურების დროს ასობით კაცი დაიფარა. ამ დღის შემდეგ ნათლობა არ წყდება აჭარაში. ბოლო სამი საუკუნის მანძილზე პირველი ჯვრისწერა სხალთის ეკლესიაში 1989 წელს შედგა.

1989 წლის მაისში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II აკურთხა ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომელიც 1930 წლიდან ელოდა ბერსა და ერს.

ტაძარს დაუბრუნდა ათეული წლების მანძილზე შენახული საეკლესიო ინვენტარი, რომელიც გადასცა აჭარის სახელმწიფო მუზეუმმა. ჩატარდა საზეიმო წირვა, რომელიც აღასრულა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II. ქალაქის



საზოგადოებრიობასთან წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში შეიკრიბა, მან აღნიშნა: „დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის ერთობას, კონსოლიდაციას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად ბრძოლას, როგორცაა მშვიდობის დაცვა, ეკონომიური, ეროვნული, რელიგიური საკითხები. ჩვენს ერს დაფარული, ხშირად მიძინებული ძალა გააჩნია... საჭიროა ამ ძალის ამოქმედება, ძალისა, რომელიც ჩვენს სისხლში, ჩვენს გენშია ჩაბუდებული, ამიტომ ყველამ უნდა გავითავისოთ წმინდა მოწოდება „ურთიერთ ტვირთი იტვირთეთ“. ეს, და მხოლოდ ეს გაგვამარჯვებინებს ქართველობას.

ჩვენ ვულოცავთ ყველას ამ ბედნიერ დღეს და ვამბობთ, რომ ამათი სახელები, ვისი მოწადინებითაც ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი ეკლესიას დაუბრუნდა, შევა არა მარტო ქართული ეკლესიის, არამედ საქართველოს მატთანეში.“ ეკლესიის წინამძღვრად აკურთხეს მამა დავითი (შიოლაშვილი). (29)

სოფელ ახალშენის ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვარი და საკათედრო ტაძრის მოძღვარი, ბათუმისა და სხალთის ეპარქიის მისია – ევანგელიზაციის განყოფილების თავმჯდომარე მამა სერაფიმე (ბერიძე) იგონებს: „...ჯერ კიდევ 1992 წელს ხულოში მოვნათლე დები ქეთევან და ელისაბედ დავითაძეები და მათი რძალი 70 წელზე მეტი ასაკისა თავის შვილებსა და შვილიშვილებთან ერთად. ჩემს მიერ მოინათლა 80 წელს გადაცილებული გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე მამია ვარშანიძე. ასევე მოინათლა ცნობილი პოეტი ზურაბ გორგილაძე მეუღლესთან, ელენე (ლეილა) დავითაძესთან ერთად და ჯვარიც დაიწერეს...

უწინ თურქები ძალისმიერი მეთოდებით ამაჰმადიანებდნენ ჩვენს წინაპრებს და ვინც არ ღებულობდა ამაჰმადიანობას, თავმოკვეთილებს ჰყრიდნენ მდმაჭახელაში. სიმბოლურად, სწორედ ამ მდინარეში ისურვეს ნათლისღება ცნობილმა პოეტმა დავით თედორაძემ და აჭარის განათლების მინისტრის მოადგილემ შოთა ჯიბლაძემ, რაც გასული წლის აგვისტოში აღვასრულეთ კიდევ. სულ ახლახან მოინათლა ეღნარ ხვიჩია, ასევე მოინათლა მირიან და ანა



ნაგერვაძეები შვილებთან ერთად და ჯვარცვლიდაიწერეს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 87 წლის ასაკში მონაილა შუახვეელი გოგრაჭაძე, 55 წლისა ამირან ვარშანიძე... მე მიხდა შენდობა ვთხოვო იმ მამულიშვილებს, რამეთუ ყველას აქ მოხსენიება შეუძლებელია.“ (6:49)


1991 წლის მარტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ლოცვა-კურთხევით ხულოში გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი, მის პირველ რექტორად დაინიშნა მამა გრიგოლი (აბულაძე). სხალთის მონასტერსა და ხულოს სასულიერო სასწავლებელში მოღვაწეობისათვის მას მიენიჭა დეკანოზის ხარისხი.

1997 წლის 8 ნოემბერს ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსად სვეტიცხოველში აკურთხეს მეუფე დიმიტრი (შიოლაშვილი).

ეპისკოპოსი დიმიტრი „წმინდა მიწის“ შემსწავლელი სამეცნიერო საზოგადოების თანათავმჯდომარე და მრავალი საზოგადოებრივი საქმიანობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია.

მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევითა და მოთავეობით შეიქმნა ხინოს სამონასტრო კომპლექსის აღორძინების ფონდი. 1990 წელს გაიხსნა ბათუმის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, 1991 წელს ხულოს სასულიერო სასწავლებელი, 1993 წელს დაარსდა ბათუმის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია. 1999 წელს გაიხსნა ჩაქვის კეთილმორწმუნე მეფე თამარის სახელობის საბავშვო ბაღი და გიმნაზია. მისი უშუალო ძალისხმევითა და აჭარის ხელისუფლების მხარდაჭერით ბოლო ათწლეულში აიგო ათეულობით ეკლესია, შენდება ხუთი ტაძარი.






ბათუმის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი




ბათუმისა და სხვაობის ეკლესიის საღვთისმშობლის მიწვევის ხედი.



ბათუმის წმ. ანდრია პირველიწოდებულის სასკოლის კამარაობა
და წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახ. სასკოლონო სემინარიის შენობის ხედი




ბათუმის წმინდა იოანე და ანის ტაძარი



ქართული ენციკლოპედიის შენობა

ბათუმის წმინდა ბარბარეს ტაძარი





სხალთის მამათა მონაწილეობა

სხალთის ტაძარი მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მაღალი მთის ოდნავ მოვაკებულ ადგილზე დგას. ხუროთმოძღვრების ეს იშვიათი ნაგებობა იმაზე მიგვიჩვენებს, რომ სხალთა თავის დროზე ერთ-ერთ დიდ დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა აჭარასა და არტაანს შორის უმოკლეს გზაზე. აქ ასეთი დიდი მოცულობის ტაძრის აგება მოსახლეობის ეკონომიკური და კულტურული ძლიერებით და დიდი სულიერი მოთხოვნილებით იყო ნაკარნახევი.

სხალთის ტაძრის მშენებლობის შესახებ საინტერესოა სოფელ ფაჩხის მამასახლისის სულეიმან მურად ოღლის (გელაძე) ნაამბობი: „ჩვენი ქრისტიანობის დროს, სცხოვრობდა ერთი მეფე, რომელსაც სახელად თამარ დედოფალი ერქვა. ამ მეფეს აქეთ ცხოვრება დიდათ უყვარდა. ერთხელ, ამ ხეობისაკენ მოუხდა გამოვლა და დარჩენა იმ ალაგს, სადაც დღეს სხალთის ეკლესია სდგას. აქ ყოფილა ისეთი დიდი მსხლის ხე, რომელიც ტოტებით მთელ მიდამოს ჩრდილავდა და ჰფარავდა. თამარ დედოფალმა ისურვა იმ ხის ქვეშ ღამე დარჩენა, გათენება; აქ გაათიეს ღამე. თამარ დედოფალმა ის ხე სიზმარში ნახა. მეორე დღეს ბრძანა, რომ აქ ეკლესია უნდა გააკეთოთო. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკლესიისათვის შენობის მზადება დაიწყო, მალე იმ ცნობილ ხესაც დაუწყო მოჭრა, მაგრამ რამდენსაც მოჭრიდნენ იმ ხეს, იმდენჯერ იმას მეორე დღეს ისევ შეერთებულს, მთელს ხელავდნენ. ხალხმა ვერაფერი გააწყო და შეწუხდა ძლიერ. ბოლოს ერთმა დაარიგა ისევ: დღეს ხე რომ მოსჭრათ, მონაწილის ძირს ცულები დაარჭეთ და ისე დასტოვეთ ამაღამ და ხვალ იგი აღარ შეერთდებაო. ხე მოსჭრეს, ცულები ისე დაარჭეს, როგორც ასწავლეს. მეორე დღეს მივიდნენ და ნახეს, რომ ხე მოჭრილია, აღარ შეერთებულა.

მალე დაიწყო ეკლესიის კეთება. ეკლესიის ერთი კარები სწორედ იქ მოაქციეს, სადაც ის დიდი ხე მდგარა. კარებში ორ ალაგს ამისი (მსხლის) ბოძები დააყოლეს, რაზედაც უნდა შეებათ ეკლესიის კარები და აი სწორედ ეს ხეები, რომლებიც დღეს

კარებშია ჩატანებული, ეს სწორედ იმ ხისაგან არის დარჩენილი.

სხალთა კიდევ აი, რისთვის დარჩმევა ამ ეკლესიას: როცა მისი შენება დაუწყიათ ეს ამბები მთელს ამ მხარის ხალხს გაუგია, ხოლო ვინც დაშორებით იყვნენ და ვერ ხედავდნენ ეკლესიის შენებას, ისინი ისეთ პირს ჰკითხავდნენ ხოლმე, რომელთაც ეკლესიის შენობა ენახათ:

– დიდს ეკლესიას სად აკეთებთო?

ამაზედ მნახველნი მიუგებდნენ:

– მსხალთან, დიდი მსხლის ხე რომ სდგასო.

ეს ხე ყველას სცოდნია მაშინ და შემდეგ დროებაში სიტყვა „მსხალთან“ სხალთად გადაკეთდაო.“ (33:5)

სხალთის ეკლესიის აგების ზუსტი თარიღის შესახებ ცნობები სხვადასხვაა. მკვლევართა აზრით იგი ქართული ხუროთმოძღვრების აყვავების ხანას, X-XII საუკუნეს მიეკუთვნება. ხოლო რმეფისაშვილი თავის გამოკვლევაში მას XIII საუკუნის შუა წლებით ათარიღებს.

სხალთის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკის ტიპის ნაგებობაა. აშენებულია მონაცრისფრო-თეთრი თლილი ქვით. აქვე, ამ ტაძრის ეზოში არის მცირე ეკლესიის შენობის საძირკვლის ნაშთები, ხოლო ამ მცირე ეკლესიის შენობის ქვების ნაწილი გამოყენებულია ახალი ტაძრის აღმოსავლეთ კედელში. ეს ქვები თავისი ორნამენტებით სრულებით განსხვავებულია შემდგომ აშენებული ტაძრის საშენი ქვებისაგან. შიგნით, გარდა დიდი ეკლესიისა, შემორჩენილია მცირე ტაძრის ნარჩენები, რომელზეც დ. ბაქრაძისა და პ. უვაროვას ცნობით სამრეკლო ყოფილა დაშენებული. (15)

სხალთის ეკლესია მთლიანად იყო მოხატული (კარიბჭითურთ). 1990 წელს ფართო სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ (რესტავრატორი გჭეიშვილი) აღმოჩნდა, რომ ფრესკები დღეისთვის შემორჩენილია ძირითადად საკურთხეველში, კამარაზე და დასავლეთ კედელზე.

მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები სხალთის მოხატულობას მე-14-15 საუკუნეების პალეოლოგოსთა სტილის კედლის მხატვრობის ნიმუშებთან აკავშირებს.

სხალთის ტაძრის მოხატულობის ძირითადი იდეა უფლის

მეორედ მოსვლას უკავშირდება. საკუთხეველის კონქში წარმოდგენილი იყო „ვედრების“ კომპოზიცია – საყდარზე დაბრძანებული მაცხოვრის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის მავედრებელი ფიგურებით. „ვედრება“ უფლის დიდების მეორედ მოსვლისა და მაცხოვრის ქადაგების იდეას გამოსახავს. ჩანს, რომ სხალთის მომხატველი ოსტატები ქართული და ბიზანტიური ფერწერული სკოლების თანამედროვე ნიმუშებს იცნობდნენ. ფრესკებზე გამოსახულია ქართული ასომთავრული წარწერები. (18)

საბჭოთა პერიოდში სხალთის ამ დიდებულ ტაძარსაც ის ბედი ეწია, რაც ყველა სხვა მართლმადიდებლურ ტაძარს. იგი გამოყენებული იყო სხვადასხვა დანიშნულებით. ტაძრის შენობაში 1970-იან წლებში განთავსებული იყო ეთნოგრაფიული მუზეუმი.

1989 წლის აპრილში სხალთის ხეობაში, წაბლანაში ბუნების მოვლენების შედეგად დატრიალებული ტრაგედიის დროს. სხალთის ტაძარმა ასობით გაუბედურებული და შეშინებული ადამიანი შეიფარა. ამავე წლის მაისში უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეწვია სხალთის ხეობას, დადოცა და დაამშვიდა მოსახლეობა, დალუპულთა სახელზე აღავლინა წირვა-ლოცვა. შემდეგ კი სხალთის ტაძარში ჩატარდა საყოველთაო ნათლობა. ხალხი ტაძრიდან სუფთა გულით, სულიერად დამშვიდებული და ღვთისადმი რწმენით მიდიოდა. ასობით ადამიანი – დიდი თუ პატარა მონათლა მაშინ. იმ დღის შემდეგ სხალთის ტაძარში არ შეწყვეტილა ლოცვა-კურთხევა, ნათლობა და ჯვრისწერა.

ბათუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი

ბერძნები აჭარაში დიდი ხნიდან ცხოვრობენ. მათი უკანასკნელი გადმოსახლება (პონტოს ბერძნების) მოხდა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, აჭარის დელასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ. ბერძნები, ტრადიციულად, სადაც მივიდოდნენ პირველად ეკლესიასა და სკოლას აშენებდნენ. ასე მოიქცნენ ბათუმშიც.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ოსმალთა იმპერიის სულთანის იუბილეზე, ბათუმში მცხოვრებმა ბერძნებმა ისეთი საჩუქარი მიართვეს, რომ აღტაცებულმა სულთანმა დელეგაციის ხელმძღვანელს იორდან მეტაქსას ჰკითხა – რით შეეძლო პატივისცემის გადახდა. ბერძნების თხოვნა იყო ბათუმში ეკლესიის აშენების ნებართვა. სულთანი დათანხმდა, მხოლოდ ერთი პირობით – ეკლესიის ზარები არასოდეს დაირეკებოდა. ბერძნები დათანხმდნენ და ეკლესიის აშენების ნებართვის ფირმანიც თან წამოიღეს.

ბერძნებმა ბათუმში, ურუმ სოხახის ქუჩაზე (რაც ბერძნის ქუჩას ნიშნავს), ამჟამად ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, ეფრემიდის მიწის ნაკვეთზე დაიწყეს ეკლესიის მშენებლობა. შემდეგ იქვე მცხოვრებმა ბერძნებმაც გაიღეს თავისი მიწის ნაკვეთების ნაწილიც. მშენებლობას ხელმძღვანელობდა იორდან მეტაქსა, რომელსაც ტრაპიზონიდან ფელუგებით გადმოჰქონდა სამშენებლო ქვები. კედლები აშენებული იყო, როცა ეკლესიის მშენებლობა შეაჩერეს, რადგან მაშინდელ ადგილობრივ ხელისუფლებას მოსჩვენებია, რომ ციხე-სიმაგრე შენდებოდა. ბერძნებმა საქმეში რუსეთის ვიცე-კონსული ჯიუდიჩი ჩარიეს, რომელმაც შეძლო დაემშვიდებინა ხელისუფლების (ოსმალური) წარმომადგენლები.

1871 წელს წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში ჩატარდა პირველი წირვა, ყოველგვარი ზარების რეკვის გარეშე. ეს იყო ერთადერთი მოქმედი მართლმადიდებლური ტაძარი აჭარაში ბოლო



სამასი წლის მანძილზე და ამავე დროს ყველაზე დიდი ბერძნული ეკლესია საქართველოში. გარდა ბერძნებისა ამ ტაძარში დადიოდნენ სხვადასხვა ეროვნების მართლმადიდებელი ქრისტიანები.

ტაძრის მთავარ შესასვლელთან დღესაც შემორჩენილია ქვის ფილა, რომელიც კედელშია დატანებული, მასზე ბერძნულ ენაზე წარწერაა: „ბერძნული ეკლესია წმ.ნიკოლოზის ბათუმში – 1865 წელი.“ ეს თარიღი ტაძრის საძირკვლის ჩაყრის აღმნიშვნელია. (28:3)

წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია თავდაპირველად გურია-სამეგრელოს ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა. მის კუთვნილებას შეადგენდა სოფელ ყოროლისთავში 1898 წელს აშენებული წმიდა პანტელეიმონის ქვის ეკლესია. (10:24)

ტაძართან გახსნილი იყო საეკლესიო ერთწლიანი სკოლა გოგონებისათვის და ორწლიანი სკოლა ვაჟებისათვის.

1878 წლის 25 აგვისტოს, როდესაც ბათუმში რუსეთის ჯარი შემოვიდა წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარმა პირველად დარეკა ზარები. ამის შემდეგ მას მოემატა მრევლი რუსი მოსახლეობის სახით. წლების შემდეგ აღნიშნული ბერძნული ეკლესია რუსული ეკლესიის სახელით გახდა ცნობილი.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლები აჭარაში მართლმადიდებლობის აღზევებაზე ზრუნვით აღინიშნა. ამ პერიოდისათვის ბათუმის ოლქის საეკლესიო ცხოვრებას გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი განაგებს. „კავკასიური კალენდრის“ პერიოდული გამოცემა გვამცნობს, რომ 1890 წლიდან ბათუმის ოლქის მთავარი მღვდელი სიმონ ქიქოძეა, 1892 წლიდან კი მღვდელი ალექსანდრე რალცევიჩი, 1896 წელს წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მღვდლად კონსტანტინე ცანდუკოვი აკურთხეს. მღვდელი კონსტანტინე 1917 წლის ჩათვლით წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში მოღვაწეობდა.

1901 წელს წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარს საჩუქრად გადმოსცეს: წმიდა ნიკოლოზის, მარიამ ღვთისმშობლის და წმიდა გიორგის სამი ხატი. საჩუქრები გადმოსცა ბერძნული გემის კაპიტანმა ანგალედისმა, ძმებმა მიხეილ და გიორგი რანგუებმა და სხვა ბერძნებმა.



მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, ეპისკოპოს დავითის (კაჭახიძე) დროს აღნიშნული ტაძარი დაიხურა. 1931 წლიდან აჭარის საშინაო მუერნეობის დადგენილების თანახმად, ეკლესიათა შენობები სახელმწიფო საკუთრება გახდა. 1941 წლის 11 თებერვალს, აჭარის სახკომსაბჭოსთან არსებული შესაბამისი კომისიის მიხედვით, წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრიდან მთელი რიგი საღვთისმსახურო ნივთები და წიგნები აჭარის სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. (20:13)



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ელიზავეტა ხარლამპეს ასულმა კოტიდიმ და კნეინა თამარ მიხეილის ასულმა ნაკაშიძემ (ქართველი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის დეიდა) მიმართეს თხოვნით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კალისტრატეს (ცინცაძე) ბათუმში წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის გახსნის ნებართვის შესახებ. კათოლიკოს-პატრიარქმა მიმართა ი.ბ. სტალინს. ალბათ იმიტომ, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ი.ბ. სტალინის მასწავლებელი იყო სასულიერო სემინარიაში, დაეთანხმა. დაიწყო ტაძრის რესტავრაციისათვის ბათუმში მცხოვრები მართლმადიდებელი ქრისტიანების მიერ თანხის შეგროვება. ეკლესიას უკან დაუბრუნდა აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მისი ნივთები უკლებლივ და უვნებლად (დირექტორი ხარიტონ ახვლედიანი).

1948 წელს წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარმა კვლავ დარეკა ზარები. ლითურგია აღავლინა კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ, რომელიც თბილისიდან ი.ბ. სტალინის ნაჩუქარი ლიმუზინით ჩამოვიდა.

ტაძრის ეზოში დამარხულნი არიან: ბათუმელი ექიმი, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე ტიმოთე ტრიანდაფილიდესი (1858-1908), ვიცე-ადმირალი გრივე, აქვეა უცნობი საფლავი, რომელსაც ტაძრის მსახურნი ხუროთმოძღვარს მიაკუთვნებენ.

1935 წლიდან, 18 წლის მანძილზე, ბათუმში ეპისკოპოსი არ ყოფილა. 1935 წლიდან პატრიარქად აღსაყდრებამდე ბათუმ-შემოქმედის ეპარქიას მიტროპოლიტი ეფრემი (სიღამონიძე) მართავდა.

1961 წელს წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში დაიწყო მოღვაწეობა არქიმანდრიტმა ხარიტონმა (ზუდოვში). იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე ეკლესიის წინამძღვარი იყო.



1960 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ მკურთხევით წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში მსახურება დაიწყო მღვდელ-მონაზონმა ილიამ (შიოლაშვილი), რომელიც აქ ჯერ ილუმენის, შემდეგ კი არქიმანდიტრის ხარისხში იქნა აყვანილი. 1963-1967 წლებში კი ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის გამგებელი გახლდათ.

სხვადასხვა ოროს წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში მღვდელმსახურებას ეწეოდნენ:

დეკანოზი ვასილი (ტაბატაძე) – 1955-1964 წ.წ.

მღვდელი ალექსეი (სობჩუკი) – 1956-1965 წ.წ.

მღვდელი ინდისი (ნუცუბიძე) – 1967-1973 წ.წ.

მღვდელი გრიგოლი (სვანაძე) – 1970-1987 წ.წ.

მღვდელი დავითი (შიოლაშვილი) – 1986-1988 წ.წ.

დღეისათვის ტაძრის წინამძღვარია დეკანოზი ნიკოლოზი (გიგათაძე).

1998 წელს ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსის დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, აჭარის ხელისუფლების თანადგომით, ბატონ ზურაბ ჯაიანის თაოსნობითა და ფინანსური დახმარებით ჩატარდა ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები. შეკეთდა ტაძრის ექსტერიერი და კეთილმოეწყო ეზო.

1999 წელს ბატონ ოლეგ გალოგრეს ფინანსური დახმარებითა და ბატონ ალექსანდრე ახვლედიანის ხელმძღვანელობით მოხდა ტაძრის ინტერიერის განახლება. ჩამოიყარა არსებული მოხატულობა და ბათქაში. ძველი, ხის კანკელის ნაცვლად დაიდგა ახალი, ვარდისფერი ტუფის ქვის კანკელი. დაიგო გრანიტის ფილებით იატაკი. გაფართოვდა და კეთილმოეწყო ეზო. ჩატარდა ტაძრის მოსახატი სამუშაოები.

დღესაც აღავლენს წირვა-ლოცვას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, რომელსაც არასდროს არ აკლდა მრევლი.

ბათუმის დეისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი

ამ იშვიათი ხუროთმოძღვრული ანსამბლის აშენება გამოწვეული იყო იმით, რომ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, ბათუმში ძალზე მოძრავლდა ქართველ კათოლიკეთა რიცხვი და მე-19 საუკუნის მიწურულს რამდენიმე ათასს მიაღწია.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ბათუმში მცხოვრები კათოლიკენი „... ენითაც ქართულ მოლაპარაკე იყვნენ და... ეკუთვნოდნენ ლათინის ტიპიკონის მიმდევართ, მაგრამ რადგან ბათუმში ლათინის წესრიგის ეკლესია არ იყო, ისინი სომეხ კათოლიკეთა ეკლესიაში ლოცულობდნენ.“ (9:25)

მათი მცდელობა, რომ საკუთარი მოძღვარი ჰყოლოდათ და ლოცვა ცალკე, თუნდაც უბრალო სახლში მოეხერხებინათ, უშედეგოდ დამთავრდა. ზ. ჭიჭინაძე იქვე განაგრძობს: „სასულიერო მთავრობა, თითქმის უყურადღებოდ სტოვებდა ამათ მუდარას... უკანასკნელად, როგორც იქნა, ბათუმელ ქართველ კათოლიკეთ მოძღვრად გამოუგზავნეს ქუთაისელი პატრი ანსელმო მღებრი-შვილი.“ (9:26)

1898 წლის 18 აპრილს გაზეთი „ივერია“ წერდა: „დიდი ხანია აქაური ქართველი კათოლიკეები მოწადინებულნი იყვნენ საკუთარი ეკლესიის აშენებას, მაგრამ სხვადასხვა დამაბრკოლებელი მიზეზების გამო ეს დიდი საქმე შეფერხებული იყო. აგერ სამი-ოთხი წელიწადია, რაც ბათუმში დაინიშნა პატრი ანსელმო მღებრიშვილი და ამ ყოვლად პატიოსანსა, კეთილის მწყემსის უანგარო შრომა-მოღვაწეობამ თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო.“

ქართველ კათოლიკეთა რამდენიმე წლის მეცადინეობის შედეგად, 1896 წელს უმაღლესმა მთავრობამ ეკლესიის აშენების ნება დართო. 1897 წელს დაამტკიცა კიდევ მშენებლობის გეგმა, მაგრამ იგი მორწმუნეთა სახსრებით უნდა აშენებულიყო.

1897 წლის იანვრიდან დაიწყო მშენებლობისათვის საჭირო



თანხის შეგროვება. შეგროვდა 1 500 მანეთი და ცხელისუფლებით არ იყო საკმარისი. დახმარებისათვის მიმართეს ბაქოს ნავთის მრეწველს – სტეფანე ზუბალაშვილს, რომელსაც დედის – ბარბარე თუმანიშვილის ანდერძის მიხედვით (თუ ბაქოს ნავთის მრეწველობის საქმე კარგად წავიდოდა, ბათუმში კათოლიკეთა ეკლესია უნდა აეშენებინა) თანხა უნდა გაეღო.

სტეფანე ზუბალაშვილმა დედის ანდერძი შეასრულა: ჯერ 15 000 მანეთი გაიღო ეკლესიის მშენებლობისათვის, შემდეგ კი მთლიანად დააფინანსა. (21)

ტაძრის მშენებლობა დაიწყო 1898 წლის 12 აპრილს. აგებულია ფსევდო-გოთური სტილით. სიგრძეა 33,6 მ; სიგანე – 23,1 და სიმაღლე – 44,1 მ შეადგენს.(21)

ტაძრის მთავარი შესასვლელის ზემო ნაწილის მარჯვნივ და მარცხნივ, წმინდა ქვის დოლაბებში გამოქანდაკებულია წმიდანინოსა და ანდრია პირველწოდებულის ფიგურები. შესასვლელის ორივე მხარეს კედელში ჩატანებულია ორი მარმარილოს ფილა ქართული და ფრანგული წარწერებით: „ტაძარი ესე ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა მარიამისა, თვისის ზღუდითურთ, აღვაგე სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა, საცხოვნებლად სულისა ჩემისა, მშობელთა და დათა ჩემთასა“, ხოლო ზარებზე არის წარწერები: „ზარები ესე... შევსწირე ჩემ მიერ აგებულს ბათუმის ტომის კათოლიკეთა ეკლესიას“. (14:156)

1903 წლის 28 აპრილს თბილისში საგანგებოდ ჩამოსული რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ბარონი ედუარდ როპპი, 2 მაისს ეწვია ბათუმს. მას თან ახლდა სტეფანე ზუბალაშვილი, სარატოვის სემინარიის რექტორი ივანე ანტონიშვილი და სხვები.

4 მაისს ედ. როპპმა აკურთხა ბათუმის ახალი კათოლიკური ეკლესია. გაზეთი „ივერია“ წერდა: „ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „კათოლიკეთა ეკლესია ბათუმში“, შედგენილი და დაბეჭდილი ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ. წიგნი სწორედ კარგ დროს დაიბეჭდა, რადგან ბათუმის ახალი ეკლესიის კურთხევა დანიშნულია 4 მაისს“. (24)

ბათუმის კათოლიკური ეკლესია „საქართველოს ეკლესიებს



„მორის ერთი უმნიშვნელოვანესია“, – ასე უნდა მას გახეთი „ცნობის ფურცელი“. (25)

წლების მანძილზე ეს მართლაც მშვენიერი ტადარი თავისი ორღანით დიდ ყურადღებას იქცევდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტადარს სხვადასხვა ორგანიზაციები დაეპატრონენ. დაიწყეს მისი გადაკეთება, რამაც შენობა დანგრევის საფრთხის წინაშე დააყენა. აჭარის ინტელიგენციამ აღშფოთება გამოხატა ამის გამო, ისინი მოითხოვდნენ ეკლესიის გამოთავისუფლებას, აღდგენას და მრევლისათვის გადაცემას.

ბოლოსდაბოლოს, აჭარის მაშინდელი მესვეურების მხარდაჭერითა და დახმარებით ტადარს ჩაუტარდა რთული სარესტავრაციო სამუშაოები. შენობამ დაიბრუნა არა მარტო ძველი გარეგნული ფორმა, არამედ განახლდა დაზიანებული ფრესკები, ინტერიერი.

1989 წლის მაისში ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ტადარი, მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა.

1989 წლის 12 მაისი. ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ტადრის სამრეკლოდან ისმის ზარების საზეიმო გუგუნი. სიტყვა წარმოთქვა უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II „ქალბატონებო და ბატონებო! სიხარული და განსაცდელი ხშირად არიან ახლოს ერთმანეთთან. იცით, რომ საქართველო განიცდის გლოვის დღეებს თბილისსა და აჭარაში მომხდარი ტრაგედიის გამო.

მაგრამ ამავე დროს არ შეგვიძლია მხოლოდ ვიგლოვოთ, უნდა ვიფიქროთ ჩვენს მომავალზე. დღეს სრულიად საქართველოში ბედნიერი დღეა, როცა იხსნება ყოვლად წმინდა ტადარი...

ჩვენ ვულოცავთ ყველას ამ ბედნიერ დღეს და ვამბობთ, რომ ამათი სახელები, ვისი მოწადინებითაც ბათუმის ღვთისმშობლის ტადარი ეკლესიას დაუბრუნდა, შევა არა მარტო ქართული ეკლესიის, არამედ საქართველოს მატრიანეში“. (29)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აკურთხა ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ტადარი. 14 მაისს დილის 10 საათიდან ტადარში ჩატარდა წირვა, პარაკლისი და



საზეიმო ნათლობა. ამ დღეს ქრისტეს ჭეშმარიტ სასწრაფოებს
5000-მდე დიდი თუ პატარა ეზიარა.

ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი დავითი (შიოლა-
შვილი), რომელიც ამ ღირსშესანიშნავ დღეს სრულიად საქართვე-
ლოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით აღყვა-
ნილ იქნა დეკანოზის ხარისხში.

ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი იწოდა საკათედრო
ტაძრად, სადაც მოღვაწეობდნენ:

- მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე) – 1989-1992 წ.წ.
 - ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაძე) – 1992-1993 წ.წ.
 - ეპისკოპოსი იობი (აქიაშვილი) – 1993-1996 წ.წ.
 - ეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი) – 1997 წლიდან დღემდე.
- ტაძრის წინამძღვარია დეკანოზი გიორგი (გეთიაშვილი).

ჩეხედანას წმიდა გიორგის სახელობის საყდარი

მე-17 საუკუნის I ნახევარში სოფელი ჩეხედანა, საისტორიო
წყაროების მიხედვით, გურიის სამთავროს საკმაოდ ცნობილი და
კეთილმოწყობილი სოფელი იყო. აქ დასაფლავებულია მამია II
გურიელის (1600-1625) პირმშო მანუჩარი და დედა-დედოფალი,
ათაბაგის ასული თინათინი. სწორედ მამია გურიელის სურვილით
აუგიათ სოფელ ჩეხედანში, მდინარე ცხრაფონას აღმოსავლეთით,
წმიდა გიორგის სახელობის საყდარი.

იერუსალიმის საპატრიარქო მამია II გურიელის მიერ აგებული
საყდრისადმი მიცემული შეწირულების წიგნში ვკითხულობთ:
„... შემოგწირეთ ჩვენ გურიელმან პატრონმა მამია ჩუენისა ცოდვათა
შენლობისა დღესა მას განკითხვისასა, სახსრად სულისა ჩუენისა,
ძეთა ჩუენტა გაზრდისათვის და მიცვალებულისა პირმშოსა ძისა



ჩუენისა... ბატონის მანუჩარის სულისა წიაღთა მძინეობრამისათა დაძკვიდრებისათვის, რათა ჩვენ ყოველნი ერთბაშად ღირს ვიქმნეთ სასუფეველთა ცათასა. წყალობათა ღვთისათა და თეოფანე პატრიარქი წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა და ყოვლისა პალესტინისა და ყოვლისა ქრისტიანისა და ცოდვათა მეოხი მობრძანდა, მას ჟამს ოდეს ჩვენ სასურველი და საყვარელი... პირშმო ძე ჩემი ბატონი მანუჩარი მიიცვალა ჩაიხედანასა და იმ ადგილას პატრიარქი მობრძანდა და ჯვარი დასწერა, აკურთხა და მამისა ბრძანებითა საფუძველი გავაკეთეთ და საყდარი ავაშენეთ. მობრძანდა პატრიარქი და აკურთხა, იერუსალიმის მეტოქად ქმნა და შევსწირეთ ხატი და ჯვარი, და წიგნები, და ოქროს ომფორი, მურასა პატიოსანი ბისონი და ერთი ხელი იარალი და სხვა სიწმინდის სამსახურისა და საცეცხლურითა, და თუ ან მე მოვიდლომ და გამოვსწირო ან სხვამან მებატონემან მოინდომოს და გამოსწიროს, იმ ომფორისა და ბისონის მაგიერ იერუსალიმისა გაუგზავნონ არამ და იერუსალიმისა მეტოქედ არის ჩეხედნისა საყდარი და იქ იღვას და ვინც პატრიარქი საქართველოზე მოვიდეს, ჩაიცვამდეს და ჟამსა სწირავდეს და მოიხსენიებდეს: გურიელსა მამიას ცოდვანი მისნი შეუნდონ ღმერთმან. ამინ.“ (18)

თეოფანე პატრიარქს ჩეხედანას საყდარზე უკურთხებია ალანის მიტროპოლიტი გაბრიელი. ამის შემდეგ დასახელებული არიან საპატრიარქო ტაძრისადმი შეწირული ყმები.

მოყვანილი ამონაწერი ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ჩეხედანას საყდარი გურიის სამთავროს ერთ-ერთი შესანიშნავი კულტურული ძეგლი იყო, რომელიც თავის დროზე იერუსალიმის პატრიარქის მეტოქი (კუთვნილება) ყოფილა.

დრო-ჟამს ჩეხედანას (ცხრაფონას) წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი უმოწყალოდ გაუნადგურებია.

1999 წელს, ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოს დიმიტრის ლოცვა-კურთხევით და ჭეშმარიტი ქრისტიანების თანადგომით საყდარი აღადგინეს და დღეს იქ წირვა-ლოცვა აღევლინება.

ბათუმის ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარი

ყოვლადწმიდა სამების სახელობის ეკლესია მე-19 საუკუნის II ნახევარშია აგებული. იგი წლების მანძილზე სასაფლაო მეურნეობის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში აქაც შეწყდა წირვა-ლოცვა. იგი საწყობად გამოიყენეს – ინახებოდა სამეურნეო ინვენტარი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ბათუმის მრავალეროვანი მართლმადიდებელი მრევლის წარმომადგენლები გრიგოლ პუხნოსა და ლუკა შევჩუკის ხელმძღვანელობით გაერთიანდა წმინდა სამების ეკლესიასთან. შეაგროვეს ხელწერები და მიმართეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კალისტრატეს (ცინცაძე), ნებართვისათვის, აღნიშნული ეკლესიის ამოქმედების შესახებ.

1947 წელს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარი გაიხსნა. წინამძღვარი იყო ლუკა შევჩუკი, მედავითნე მარია ტრიფონოვა. ტაძარს მგალობელ-მომღერალთა 30 კაციანი გუნდი ჰყავდა.

ტაძარში მსახურება დადგენილ იქნა ე.წ. „ღვალცატკის“ მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ეგნატე ივლევი, მიხეილ ენიკოვი, პეტრე ფირცხალავა, ევგენი კალანდაძე და სხვა.

ე.წ. „ღვალცატკა“ ირჩევდა საეკლესიო საბჭოს 3 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისიას.

ტაძრის რესტავრაციის შემდეგ მრევლმა შემოსწირა საეკლესიო წიგნები, ნივთები, ხატები და სხვა მოსართავი მოწყობილებანი. მას არასდროს არ აკლდა მრევლი, რასაც ალბათ ისიც განაპირობებდა, რომ ქალაქში მხოლოდ ორი მართლმადიდებელი ეკლესია ფუნქციონირებდა: ერთი წმიდა ნიკოლოზის სახელობის ქალაქში და მეორე აქ, სასაფლაოზე.



1976 წლის ზაფხულში ტადარს ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად განადგურდა.

მალე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა ბათუმ-შეიშოქმედის ეპარქიის ეპისკოპოს ღავეთს (ჭკადუა) დაავალა ახალი ეკლესიის აშენება დამწვარი ეკლესიის ფუძეზე.

ტადარი აშენდა, გადახურეს და დაიწყო მღვდელთმსახურება 1979 წელს, მაგრამ მისი საბოლოოდ დამთავრება იმ სახით, რომელიც ამჟამადაა, წლების მანძილზე მიმდინარეობდა.

კომუნისტური რეჟიმის დროს რთული იყო ეკლესია-ტაძრების არა თუ მშენებლობა, არამედ ფუნქციონირებაც, რადგან მკაცრი ათეისტურ-ანტირელიგიური პროპაგანდისტული მუშაობა იყო გაჩაღებული. ამიტომ, რომ არა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II უდიდესი მორალური და მატერიალური მხარდაჭერა, აღნიშნული ტადარი ვერ აშენდებოდა. ტაძრის წინამძღვარია მამა თევდორე (ახალაძე).

ბათუმის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია

„მანათობელო ქართლისაო, სვეტო ნათლისაო, წმიდაო გულითაო, მომნიჭებელო სიხარულისაო...“ დედაო ნინო, „მეოხ გვეყავ ჩვენ, ყოველთა...“

მეოთხე საუკუნის გარიჟრაჟზე უფალს ევედრება, ნორჩი ქალწული, ჩაიყვანოს ქართველთა დედაქალაქ მცხეთაში და გახადოს ღირსი ქრისტეს პერანგის მთხვევისა. ერთხელაც, დაძინებული, ძილში იხილავს ღვთისმშობელს, რომელიც აკურთხებს „იქადაგოს მის წილხვედრ ქვეყანაში...“ კაბადოკიელი ნინო საქართველოსაკენ გამოემართა. ფარავნის ტბითა და მესხეთ-ჯავახეთის თოვლიანი მთებით შემოვა საქართველოში და პირველ ღამესაც ფარავნის ტბის პირას გაათენებს. შემდეგ ნეტარი ნინო გაჰყვება მტკვრის დინებას და ჩავა ქართლის დედაქალაქში. ღვთის



მადლით და ვაზის ჯვრით განკურნავს სხვადასხვა კვანძოვან შეჭირვებულ მცხეთელებს და დაამხობს მათ კერპებს... ნინოს ლოცვით აღიმართება სვეტიცხოველი...

ღვაწლით დაღლილი ნეტარი ნინო 67 წლის ასაკში გარდაიცვალა დაბა ბოდინს (ბოდბე), იქვე დაუკრძალავთ, ღვთის ნებით, სადაც დღეს წმიდა გიორგის სახელობის ტაძარია აგებული.

დრო-ჟამს ნინოს სახე სანუკვარ ხატად უქცევია. ერს მისი ვაზის ჯვართან (რომელიც დღემდე ინახება სიონის ტაძარში) მუხლი მოუყრია. მის სახელობაზე ეკლესია-მონასტრები აუგია, შეჭირვების ჟამს შემწეობა უთხოვია.

1994 წელს ბათუმის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის შენობაში გაიხსნა წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია, რომლის წინამძღვრად აკურთხეს მამა დავითი.

წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია ძირითადად ემსახურება სასულიერო გიმნაზიისა და სემინარიის მოსწავლე-ახალგაზრდობას, პედაგოგიურ კოლექტივს და სამწყსოს.

ამჟამად ეკლესიას მღვდელმსახურებას უწევს დეკანოზი გიორგი (მულაძე).

ბათუმის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი

1994 წელს ბათუმის მკვიდრს ლამარა ბიბილეიშვილ-ლლონტს გარდაეცვალა შვილი – მერაბი ლლონტი. ცოტა ხნის შემდეგ დამწუხრებულმა ოჯახმა გადაწყვიტა აეშენებინა სალოცავი ტაძარი საკუთარი სახსრებით. იქვე, სასაფლაოს გვერდით, ვაზის პირას, მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით და ღვთის შეწევნით დაიწყო წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობა, რომელიც ექვს თვეში დამთავრდა.

გარდაცვლილის ცხედარი გადმოსვენებული იქნა და დასაფლავებულია ტაძრის შიგნით.

წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი გაიხსნა 1995 წელს. მღვდელმსახურებას ეწეოდნენ: მამა გიორგი (ძნელაძე), მამა გიორგი (გეთიაშვილი) და ამჟამად მამა თევდორე (ახალაძე).

1995 წელს წმიდა გიორგის სახელობის ტაძართან დაარსდა დელათა მონასტერი.

მეუფე იობის (აქიაშვილი) ინიციატივით მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს სახელობის მონასტრიდან წამოიყვანეს სამი მონაზონი: დელა ნინო, დელა ევა და დელა სარა. ორი თვის შემდეგ მონაზვნები წავიდნენ და ისევ მცხეთიდან ჩამოვიდა დელა ნისიმე თავის მორჩილებთან ერთად. მალე დელა ნისიმე აკურთხეს, გახდა დელა პელაგია და დელათა მონასტრის წინამძღვარი. აქ მან იმოღვაწა 1997 წლამდე, რის შემდეგაც გადავიდა სურამის დელათა მონასტერში, რუის-ურბნისის ეპარქიაში.

1997 წელს მეუფე დიმიტრიმ (შიოლაშვილი) მცხეთიდან ჩამოიყვანა მონაზონი დელა ქრისტინე მორჩილებთან ერთად.

1999 წელს წმიდა გიორგის სახელობის ტაძართან არსებული დელათა მონასტერი დაიხურა და ღროებით გადავიდა ხულოს ხარების სახელობის ტაძარში. რადენიმე თვის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ უკან.

დელა ქრისტინე დაბრუნდა რუის-ურბნისის ეპარქიაში. მის ნაცვლად 1998 წლის ოქტომბრიდან მცხეთიდან ჩამოვიდა დელა მატრონა (თამარ ტურძილაძე). 1999 წლიდან დღემდე იგი დელა მონასტრის წინამძღვარია. მასთან ერთად მსახურებს სამონაზვნე ანა (ვენერა ცქიტიშვილი).

წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში პარასკევობით მიმდინარეობს ლოცვა, ხოლო შაბათობით წირვა. წირვა-ლოცვას ასრულებს მამა თევდორე (ახალაძე).

ბათუმის წმიდა ბარბარეს სახელობის ტაძარი

წმიდა ბარბარეს ეკლესიას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1888 წელს სამხედრო ჰოსპიტალის გვერდით. ეკლესიისათვის დანაზოგი თვით იმპერატორ ალექსანდრე III გაუღია.

1905 წელს წმიდა ბარბარეს სახელობის ეკლესია გადაეცა საეპარქიო უწყებას. 1906 წელს ტაძარი საზეიმოდ აკურთხეს, მაგრამ მას დიდხანს არ ეწერა ქართველებისათვის სამსახური. მალე ბათუმის გუბერნატორის – დრიაგინის, მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისა და სამთავრობო წრეში ცნობილი დეკანოზის ვოსტორგოვის ურთიერთშეთანხმებით ტაძარი სამხედრო უწყებას გადასცეს. (30)

1996 წელს აჭარის ხელისუფლების გადაწყვეტილებითა და ძალისხმევით ჰოსპიტალის გადატანის გამო გამოთავისუფლებულ ადგილზე აშენებული იქნა ახალი ტაძარი, რომელიც ლამაზად ერწყმის ქალაქის ზღვისპირა ადგილს.

1997 წლის 7 აპრილს, ხარების დღესასწაულზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა წმიდა ბარბარეს სახელობის ტაძარი. ბათუმის მრევლს კიდევ ერთი მშვენიერი, ჰაეროვანი ღვთის სამლოცველო შეემატა. წირვა-ლოცვა აღავლინა მეუფე დიმიტრიმ.

ამჟამად ტაძარში მღვდელთმსახურებას ეწევა მღვდელი პეტრე (აბუანდაძე).

ბათუმის წმიდა იოაკიმ და ანას სახელობის ტაძარი

იოაკიმე და ანა ღვთისმოსავნი იყვნენ, მოხუცებულობამდე შვილი არა ჰყავდათ და ღმერთს აღუთქვეს: ოღონდ შვილი გვადირსე და შენვე შემოგწირავთო. ღმერთმა მათი ვედრება შეისმინა და მისცა ქალი, რომელსაც მარიამი დაარქვეს. სწორედ ღვთისმშობელ მარიამის მშობლების – წმიდა იოაკიმ და ანას სახელობის ტაძრის მშენებლობა დაიწყო 1998 წელს ბათუმისა და სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსის რეზიდენციის ეზოში მეუფე დიმიტრის ძალისხმევითა და ლოცვა-კურთხევით.

მშენებლობა დამთავრდა და წირვა-ლოცვა აღავლინა მეუფე დიმიტრიმ 1999 წელს.

მღვდელთმსახურებას ეწევა მღვდელი პეტრე (აბუხანდაძე).

მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარი

გადმოცემით, იქ სადაც ახლა ჩაქვის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარია, აჭარაში ჩაის კულტურის გავრცელებისა და გადამუშავების ერთ-ერთი რუსი ინიციატორის, პოპოვის მიერ აგებული ყოფილა ამავე სახელწოდების ეკლესია. იგი ემსახურებოდა ჩაქვის საუფლისწულო მამულში მომუშავე მართლმადიდებელ მრევლს.

აღნიშნულ ადგილზე ეკლესიის არსებობას ადასტურებს შემორჩენილი საეკლესიო ზარი წარწერით და ნაფუძვარიც. ზარი ახალ ტაძარშიცაა გამოყენებული.

ნატაძრალი ხასან ბერიძის მიერ იქნა აღმოჩენილი, რომელმაც მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, გადაწყვიტა აღედგინა. მალე

მეუფე იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ხასან ბერიძე ბათუმის ღვთის-
მშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში დიპლომატ-სევერიანეს
სახელით.

1995 წლის 26 ივნისს გაზეთ „სხალთის ზარები“ წერდა:
„...დაბა ჩაქვი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე საზეიმო
ვითარებაში გაიხსნა ახალი ეკლესია, რომელიც მიქაელ და
გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელზე იკურთხა. საყდარი
აშენდა დაბა ჩაქვის მკვიდრის სევერიანე ბერიძის თაოსნობითა
და ადგილობრივი მოსახლეობის თანადგომით.“

ჩაქვის მთავარანგელოზთა სახელზე ტაძარი აკურთხა
ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსმა იობმა (აქიაშვილი). მასთან
ერთად წირავდნენ: ჯიხეთის მონასტრის წინამძღვარი,
არქიმანდიტრი ანდრია (კბილაშვილი), საკათედრო ტაძრის
წინამძღვარი მამა სტეფანე (კორინთელი), ბათუმის წმიდა
გიორგისა და წმიდა სამების ეკლესიის წინამძღვარი მამა
ტარიელი (ჟღენტე), საკათედრო ტაძრის დეკანოზი მამა
გიორგი (გეთიაშვილი).

წირვის შემდეგ მდინარე ჩაქვისწყალზე მამა ტარიელმა
აღასრულა ნათლობა, მოინათლა 40-მდე ადამიანი.

1996 წელს დიაკვანი სევერიანე (ბერიძე) გარდაიცვალა.
ეკლესიის წინამძღვარი იყო მამა თევდორე (ახალაძე). 1998
წლიდან კი ჩაქვის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის
წინამძღვარია მამა პეტრე (ყრუაშვილი).

ტაძარს იქვე, გვერდით, სულ ახლახან აუშენეს სამრეკლო,
რომლის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მამა
პეტრემ.

ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტაძარი

ტაძარი მე-20 საუკუნის დასაწყისში აშენდა პონტოელი ბერძნების მიერ, რომლებიც სოფელ ახალშენში აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ დასახლდნენ.

1912 წელს ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტაძარი აკურთხა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ.

გასული საუკუნის 30-იან წლებში ტაძარს იგივე ბედი ეწია, რაც სხვა ეკლესია-ტაძრებს სრულიად საქართველოში — დაიხურა, ხოლო წინამძღვარი გადაასახლეს.

ათწლეულების განმავლობაში უმოქმედოდ მდგარი ტაძარი დაზიანდა, ჩამოინგრა გუმბათი. 1980-იან წლებში სოფლის მკვიდრთა — ასლან თავდგირიძისა და გურამ ღუმბაძის ინიციატივით დაიწყო ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები, რომელშიაც ჩაბმული იყო ადგილობრივი ბერძენი მოსახლეობა. აღადგინეს ტაძრის კედლები, შეცვალეს ფანჯრები, გადახურეს. ამავე პერიოდში დაიწყო ბერძენთა მასიური დაბრუნება ისტორიულ სამშობლოში — საბერძნეთში, რამაც დროებით შეაჩერა ტაძრის რესტავრაციის დამთავრება.

მალე ინიციატივა ახალშენის ახალგაზრდობამ აიღო. აჭარის ხელისუფლებისა და ცალკეულ ქველმოქმედთა შემწევობით გააგრძელა და დაასრულა ტაძრის აღდგენა.

წასვლის წინ ბერძნებმა ტაძარს შესწირეს ხატები და ნოხები: ხარლამპე ქსანტინიძმა 1937 წელს შენახული ეკლესიის ზარი დააბრუნა, ხოლო სოფია კერიძმა გადასცა შენახული ეკლესიის გასაღები.

ტაძარში ამჟამად არსებული ემბაზი 1915 წლითაა დათარიღებული. იგი მოსახლეობაში იყო გაბნეული. მოძებნეს და ტაძარში მოიტანეს.



ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტაძარში მთავარ-ანგელოზი მოხატა დეკადემ.

ტაძარი საზეიმოდ გაიხსნა 1997 წლის 19 აგვისტოს – ფერისცვალების დღეს, 10 საათზე. წირვა აღასრულა ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ. იქვე ჩატარდა საზეიმო ნათლობა.

ახალშენის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში ხშირია ნათლისღება და ჯვრისწერა.

წმიდა პანტელეიმონის სახელობის ტაძარი

მე-19 საუკუნის II ნახევარში სოფელ ორთაბათუმში (ხელვაჩაურის რაიონი) აშენებული აგარაკების ძირითადი ნაწილი ეკუთვნოდათ ბერძნებს: ტერენცოსს, მეტაქსას, პაპანდოპულოს, პარასკევოპულოს, ამბელიდისს, სეიტიდისს, კოტიდს და სხვა. ამტომ ამ პერიოდში ჩამოსახლებული ბერძნები ნაწილდებოდნენ სწორედ იმ ადგილებში, სადაც მათი მოძმეები ცხოვრობდნენ.

სოფელ ორთაბათუმში საკმაოდ მოიყარა თავი ბერძნებმა და გადაწყვიტეს წმიდა პანტელეიმონის პატივსაცემად აეშენებინათ ტაძარი. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ნიკოლოზ მეტაქსა, იორდან მეტაქსას შვილი.

1900 წელს გაიხსნა პატარა, მაგრამ ძალიან მყუდრო ტაძარი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოტიდმა და ქალბატონმა თამარ ნაკაშიძემ (აღსანიშნავია ამ ქალბატონის დიდი დამსახურება) დააპირა წმიდა პანტელეიმონის სახელობის ტაძრის რესტავრაცია, მაგრამ მაშინდელმა ხელისუფლებამ ნება არ დართო. წლების მანძილზე ეს ლამაზი ტაძარი გამოყენებული იყო სხვადასხვა დანიშნულებისათვის, სანამ მთლიანად არ დაზიანდა.



1993 წელს ლავის ბერძენი მოსახლეობის ინტეგრაცია და ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით გადაწყდა ტაძრის რესტავრაცია-აღდგენა.

1998 წელს ტაძარი გაიხსნა. ყოველწლიურად 9 აგვისტოს, წმიდა პანტელეიმონის ხსენების დღეს, აჭარაში მცხოვრები ყველა ბერძენი თავს იყრის ამ ტაძართან. სიმღერებით, ცეკვებითა და მხიარულებით ათენებენ ღამეს.

წმიდა მოწამე ეკატერინეს სახელობის ტაძარი

ბათუმის ყოფილ მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლი 1995 წლის თებერვლიდან გადავიდა საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში და მზრუნველობას უწევს ბათუმისა და სხალთის ეპარქია. მას ეწოდა ბათუმის წმიდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სავანე.

1997 წლის 7 დეკემბერს სავანეში ამავე სახელობის ეკლესია გაიხსნა. მისი პირველი წინამძღვარი იყო მამა თევდორე (ახალაძე), ამჟამად მამა იაკობია (ბერიძე).

ეკლესიაში წირვა-ლოცვა ტარდება ხუთშაბათს, პარასკევსა და საეკლესიო დღესასწაულების დროს.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარიამის მიძინების სახელობის ტაძარი

1903 წელს ხის მასალისაგან, ხოლო 1908 წელს ქვისაგან აშენდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარიამის მიძინების სახელობის ტაძარი დაგვაში (ქობულეთის რაიონი).

1930-იან წლებში ამ ტაძარმაც გაიზიარა საქართველოს ტაძრების ხვედრი, იგი თითქმის მთლიანად იქნა დანგრეული.

1989 წელს ნიკოლოზ ცაცანიდის ინიციატივით დაიწყო ტაძრის აღდგენა. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა ქობულეთის ბერძენთა საზოგადოების თავმჯდომარემ ხრისტო პაპანდოპულომ. დაიწვეს თანხებისა და სამშენებლო მასალების შეგროვება. გაუკეთეს რესტავრაცია, მიაშენეს სამრეკლო.

აღსანიშნავია ის, რომ დაგვის რელიგიური საბჭოს თავმჯდომარე პანაიოტი ეფრემიდი და მასთან ერთად ანესტი ეფრემიდი და ზაქარია სტეფანიდი განაგებენ ეკლესია-ტაძრების სარესტავრაციო სამუშაოებს ქობულეთის რაიონში.

დაგვის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარიამის მიძინების სახელობის ტაძრის მოსახატავად მოწვეული იყო მხატვრები.

ტაძარში არის სიძველით გამორჩეული ორი ხატი: იოანე ნათლისმცემელისა და მიქაელ მთავარანგელოზის. რეპრესიების დროს ხატები დაიკარგა. ტაძრის აღდგენის შემდეგ, გახსნის წინა დღეს, აწ განსვენებულმა ქსენია პოპონდოპულომ გადასცა აღნიშნული ხატები ტაძარს.

1992 წელს დაგვის ტაძარი გაიხსნა. მისი წინამძღვარია დეკანოზი იოსები (გორგასლიძე).

დაგვის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარიამის მიძინების სახელობის ტაძრის მრევლი ყოველწლიურად 28 აგვისტოს დიდი ზეიმით აღნიშნავს ღვთისმშობლობას – მარიამობის დღესასწაულს.

ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ტაძარი

1997 წელს ქობულეთში, აქაური მკვიდრი შვილების ჯემალ სოლომონის ძე ინაიშვილისა და მისი მამიდაშვილის – თამაზ ნიჟარაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გაიხსნა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ღვთის სამლოცველო. ტაძარი მოხატა ხატმწერმა იოანე ბაბილოძემ.

გახსნის დღეს ტაძარში მოინათლნენ და ჯვარი დაიწერეს ჯემალ ინაიშვილის

მშობლებმა – სოლომონ ინაიშვილმა და ციალა (ციური) ნიჟარაძემ. ცოტა ხნის შემდეგ სოლომონ ინაიშვილის დედამ, 90 წელს მიღწეულმა, რაიკე-ხალვაშმა-ინაიშვილისამ განაცხადა: საკმარისია რაც ტყვეობაში ვიყავით, მე ვარ ჩემი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების უხუცესი და მათან ერთად უნდა მოვინათლო.

და მართლაც, 10 შვილიშვილთან ერთად მოინათლა. ქალბატონ რაიკეს ნათლობის სახელი ელენე დაერქვა.

ასევე მოინათლნენ 70 წელს გადაცილებული ძმები ნოშრევან და მირიან (კუკური) დუმბაძეები. (6:49)

ტაძრის მოძღვარია მღვდელი თადეოზი (გაბუნია), რომელიც მღვდელთმსახურებას ეწევა 1998 წლის 1 სექტემბრიდან, ხოლო წინამძღვარია მღვდელი კონსტანტინე (პაიჭაძე).

ქობულეთის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის საყდარს მრევლი არ აკლია. აქ არა მარტო საეკლესიო დღესასწაულების დროს ნახავთ სამწყსოს, არამედ ყოველ დღე.

წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია

1999 წელს ბათუმის №12 საბავშვო ბაღის შენობა გადაეცა ბათუმისა და სხალთის ეპარქიას. ერთი წლის მანძილზე, მისი ყოვლად უსამღვდელოესობის ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსის დიმიტრის ლოცვა-კურთხევითა და კეთილი ადამიანების თანადგომით შენობა კაპიტალურად შეკეთდა და დაკომპლექტდა.

2000 წლის 9 ოქტომბერს გაიხსნა ილია მართლის სახელობის საბავშვო ბაღი. ბაღში 100 ბავშვია და საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი. პატარები საღვთო სჯულთან ერთად უცხოურ ენებს ეუფლებიან, სწავლობენ ხატვასა და მუსიკას.

ამავე შენობაში 1999 წელს დაიწყო და 2000 წელს მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით გაიხსნა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია. მღვდელთმსახურებას ასრულებს მღვდელი ბასილი (ბერიძე).

ბაღში დილა ბავშვებისათვის ლოცვით იწყება. თვეში ერთხელ ბაღის ყველა აღსაზრდელი ღებულობს მონაწილეობას საღმრთო ლითურგიაში და ეზიარება. ტარდება საჯანმრთელო პარაკლისები.

წმიდა კონსტანტინე და ელენეს სახელობის ტაძარი

1889 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა კვირიკეში ბერძნების ინიციატივით აშენდა წმიდა კონსტანტინესა და ელენეს სახელობის ტაძარი. ღვთის ძაღლითა და შემწეობით ნგრევა არ განუცდია. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დაიხურა და იქ მინერალური სასუქების საწყოები მოათავსეს.

1970-იან წლებში ტაძარს რესტავრაცია გაუკეთდა და ადგილობრივი ბერძენი მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად ქობულეთის პარტიის რაიკომის გადაწყვეტილებით ტაძარში ქართველ-ბერძენთა მეგობრობის მუზეუმი გაიხსნა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში სოფელ კვირიკეს მკვიდრის ფეოლორ ჩილინგარიდის ხელმძღვანელობით მუზეუმი დაიშალა და ეკლესიას თავიდან გაუკეთდა რესტავრაცია. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის კვირიკეს რელიგიური საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი ფუტურიდს.

ტაძარი 3 ივნისს ზეიმობს წმინდანების კონსტანტინესა და ელენეს დღეს. წინამძღვარია დეკანოზი იოსები (გორგასლიძე).

წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი

გადმოცემის მიხედვით სოფელ ქვედა კვირიკეს გორაკზე წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია ჯერ კიდევ XII საუკუნეში აგებულა. წუთისოფლის უკუღმა ტრიალს იგი მთლიანად გაუნადგურებია და მხოლოდ ნაფუძვარი დარჩენილა. შემდეგ ხის ტაძარი აუშენებიათ, მაგრამ დაიწვა.



მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ალდგილობრივმა მკვიდრმა ქრისტო იოსიფიდიმ გადაწყვიტა ძირითადად საკუთარი თანხებით აეშენებინა ტაძარი. მისი ასაშენებელი ყველა სამუშაო შეასრულა იანგო შონუსმა. ხატების რეპროდუქციები შეასრულა მხატვარმა იანგო ახობაძემ.

წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი პირველად არა ოფიციალურად გაიხსნა. მალე იგი დახურეს, ხატები გაიტანეს და შენობაში ბიბლიოთეკა განათავსეს.

1990 წელს ტაძარს თავიდან გაუკეთდა რესტავრაცია და დაიწყო მღვდელმსახურება.

– ქართული სული დღესაც ტრიალებს წმიდა გიორგის სახელობის ტაძარშიო, – ბრძანა ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა იოსებმა (გორგასლიძე).

23 ნოემბერი, წმიდა გიორგის დღე, დიდი ზეიმით აღინიშნება ტაძარში.

ქრისტეს აღდგომის სახელობის ტაძარი

ქრისტეს აღდგომის სახელობის ტაძრის მშენებლობა ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში 1996 წელს დაიწყო ანესტი ცაცანიდის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით.

ტაძარი პატარა და ლამაზია, მღებარეობს ბერძენთა სასაფლაოს მახლობლად.

2001 წლის 15 აპრილს, ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე, ტაძარმა დაიწყო მღვდელმსახურება. წინამძღვარია დეკანოზი იოსები (გორგასლიძე).

აჭყვის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი

ქვედა აჭყვის (ქობულეთის რაიონი) წმიდა გიორგის სახელობის ტაძარს გარეთა ხედზე, შესასვლელთან აქვს გაკეთებული წარწერა, რომელიც გვაუწყებს, რომ წმიდა გიორგის ეკლესია აშენდა 1880 წელს ადგილობრივი ბერძნების მიერ. გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიხურა და ნაწილობრივ დაზიანდა.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში სოფლის მცხოვრებლებმა ფარულად შეიტანეს ხატი და დადიოდნენ სალოცავად. 80-იან წლებში კი არისტო ანდრეადის თაოსნობით დაიწყო ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები. ახალგაზრდა ინჟინერმა სტავრო სტეფანიძემ ააშენა გუმბათი. მას საკმაო წვლილი მიუძღვის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის აღდგენით სამუშაოებში. სოფლის მცხოვრები კლარა ქრისტეფორეს ასული ორახოვა დაუზარელად აგროვებდა სარესტავრაციო თანხებს.

1996 წელს ტაძარს მიაშენეს სამრეკლო. ძვდელთმსახურებას ასრულებს მამა პეტრე (ყრუაშვილი).

ადგილობრივი ბერძნები წმიდა გიორგის ტაძარში 6 მაისს აღნიშნავენ გიორგობის დღესასწაულს.

წმინდანების პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარი

ტაძარი აიგო მე-20 საუკუნის დასაწყისში ბერძენი მართლმადიდებლების მიერ სოფელ აჭყვაში. 30-იან წლებში თითქმის სულ დაინგრა და განადგურდა. ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით ტაძარი აღდგენილ იქნა. შენების დროს შესასვლელი კარის თავზე, კედელში ჩატანებული იქნა ქვაზე ამოტვიფრული წმინდანების პეტრესა და პავლეს გამოსახულება.

ტაძარში მღვდელმსახურებას ატარებს მამა პეტრე (ყრუაშვილი).

წმინდანების პეტრესა და პავლეს დღე საზეიმოდ აღნიშნება 12 ივნისს.

წმიდა თეოდორეს სახელობის ტაძარი

წმიდა თეოდორეს სახელობის ტაძარი სოფელ ზედა აჭყვაში მთაზე, თეთრი გედივითაა აღმართული. ტაძარი აგებულია უკვე არსებული ეკლესიის ადგილზე, რომელიც განადგურდა.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში სტავრო ქრისტეფორიძმა გადაწყვიტა ყოფილი ეკლესიის ადგილზე აეშენებინა ახალი ტაძარი, შედარებით უფრო დიდი, მაგრამ მეუფე იობმა უარი უთხრა და აღნიშნული ტაძარი აშენდა იმავე ზომის.

წმიდა თეოდორეს სახელობის ტაძარი აშენდა შემოწირულობით. მღვდელმსახურებას ასრულებს მამა პეტრე (ყრუაშვილი).

ადგილობრივი ბერძნები 21 ივნისს აღნიშნავენ წმიდა თეოდორეს დღეს.

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი

ხულოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სასწავლებლის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში იყო მოქმედი ეკლესია. 1918 წელს აქ ღვთისმსახურებას ეწეოდა მღვდელი მიხეილი (დოლიძე), ცნობილი ქართველი რეჟისორის სიკო დოლიძის მამა.

1918-1927 წლებში ეკლესია უმოქმედოდ იყო. 1928 წელს კი ლავრენტი ბერიას ბრძანებით დაუნგრევიათ და მის ადგილზე ჯარის ნაწილისათვის საცხოვრებელი სახლი აუშენებიათ. მისი ფანჯრებისა და კარების სვეტები ეკლესიის ქვებით ყოფილა ამოყვანილი, დანარჩენი ქვები აუზიდიანთ ბეშუმთან ახლოს კვალმინდორზე და აუგიათ შენობა, რომელშიც განლაგებული ყოფილა საგუმბაგო.

1959 წელს ჯარის ნაწილის საცხოვრებელ შენობაში, ხულოში, მოთავსდა სკოლა-ინტერნატი, იქვე აშენდა სასწავლო კორპუსიც.

1994 წელს იმ ძველი ეკლესიის ადგილზე დაიწყო წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის მშენებლობა. ორნავიანი ბაზილიკა, რომლის პროექტი შედგენილი იყო სრულიად საქართველოს საპატრიარქოს „ტაძარმშენში“ არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის ხელმძღვანელობით. მშენებლობა მიმდინარეობდა შემოწირულობებით, რომელშიც თავისი წვლილი შეიტანეს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ და მისმა გენერალურმა დირექტორმა ზვიად ცეცხლაძემ, რუსთავისა და კასპის ცემენტის, მეტეხის აგურის ქარხნის კოლექტივებმა, ქუთაისის ავტოქარხანამ, ტყიბულის ქალაქის გამგეობამ და სხვა ორგანიზაციებმა. (21:3)

მშენებლობაში ჩაბმული იყო ხულოს მთელი ახალგაზრდო-



ბა. ხელმძღვანელობდა სასულიერო სასწავლებლის პროექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში, ინჟინერი თეიმურაზ ყურაია.

ხულოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში ღვთისმსახურებას ეწეოდნენ: მამა გრიგოლი, მამა იოანე, მამა ზაქარია, მამა თევდორე, მამა სერაფიმე, დეკანოზი იოსები, მამა ბასილი.

ამჟამად ღვთისმსახურებას ეწევა დეკანოზი მირიანი (სამხარაძე).

ყოველთა წმინდანთა სახელობის ტაძარი

2000 წლის 9 ივლისს აჭარაში კიდევ ერთი ახალი ეკლესია გაიხსნა. მწვანე კონცხის ჯვარ-გუმბათოვან ტაძარში, რომელიც ერთ წელზე მეტხანს შენდებოდა, პირველი ღოცვა აღევლინა.

ახალი ეკლესია ყოველთა წმინდანთა სახელობისაა. ტაძრის პროექტის ავტორია არქიტექტორი თემურ ახვლედიანი, მშენებელი ინჟინერი – თამაზ სოსელია. ტაძარზე გამოსახული ბოლნისური ჯვრები კი მოქანდაკესა და გრაფიკოსს ოთარ დარჩიას ეკუთვნის.



ბათუმისა და სხალთის ეპარქიის სამღვდელოება

ეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი)
 არქიმანდრიტი ხარიტონი (ტულოვში)
 ილუმენი ილარიონი (ჭილლაძე)
 დეკანოზი ნიკოლოზი (გიგატაძე)
 დეკანოზი გიორგი (მულაძე)
 დეკანოზი გიორგი (გეთიაშვილი)
 დეკანოზი სერაფიმე (ბერიძე)
 დეკანოზი იოსები (გორგასლიძე)
 დეკანოზი მირიანი (სამხარაძე)
 მღვდელი გიორგი (ძნელაძე)
 მღვდელი ლუკა (მიქაბერიძე)
 მღვდელი თადეოზი (გაბუნია)
 მღვდელი პეტრე (ყრუაშვილი)
 მღვდელი პეტრე (აბჟანდაძე)
 მღვდელი იაკობი (ბენიძე)
 მღვდელი ბასილი (ბერიძე)
 მღვდელი პავლე (ჯანგავაძე)
 მღვდელი ევტიქი (შველიძე)
 დიაკონი ლევანი (კაჭარავა)
 დიაკონი ილია (მალლაფერიძე)
 დიაკონი მათე (რატიანი)
 ბერი რომანოზი (ახალმოსულიშვილი)

ეპარქიის ტერიტორიაზე მდებარე აღსადგენი ტაძრები

1. ხინოწმიდის საეპისკოპოსო საყდარი
2. გვარას თეთროსნის ეკლესიის ნანგრევები
3. გვარას ტაძარი

მშენებარე ტაძრები

1. ოლადაურის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი
2. მახინჯაურის ყოველთა წმინდათა სახელობის ტაძარი
3. ბობოყვათის წმიდა დიმიტრის თესალონიკელის
სახელობის ტაძარი
4. საჩინოს სამთა ძღველმთავართა; ბასილი დიდისა, გრიგოლ
ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარი
5. სოფელ ქობულეთის წმიდა სამების ტაძარი.
6. ქედის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი. (18)

ბათუმ-შემოქმედელი მღვდელმთავრები

- მიტროპოლიტი გიორგი (ალადაშვილი) – 1920-1922წ.წ.
ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე) – 1924-1926წ.წ.
მიტროპოლიტი იოანე (მარგიშვილი) – 1926-1928წ.წ.
ეპისკოპოსი ალექსი (გერსამია) – 1928-1930წ.წ.
ეპისკოპოსი გაბრიელი (ჩაჩანიძე) – 1953 წ.
მიტროპოლიტი ეფრემი (სიღამონიძე) – 1953-1960 წ.წ.
ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი) – 1963-1967 წ.წ.
მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი) – 1974-1978 წ.წ.
მთავარეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა) – 1978-1981 წ.წ.
მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი) – 1981-1986 წ.წ.
მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე) – 1986-1992 წ.წ.
ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე) – 1992-1993 წ.წ.
ეპისკოპოსი იობი (აქიაშვილი) – 1993-1996 წ.წ.
ეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი) – 1997 წლიდან
დღემდე

1989 წლამდე ბათუმისა და სხალთის ეპარქიაში იყო ორი მოქმედი მართლმადიდებელი ტაძარი. დღეისათვის ეპარქიაში არის 1 სამლოცველო, 21 მოქმედი ტაძარი. ეპარქიაში სამი ისტორიული ტაძარია, რომელიც დღეს ნანგრევებადაა ქცეული. ეკლესია-ტაძრებში მსახურობს 1 არქიმანდრიტი, 1 ილუმენი, 1 მღვდელმონაზონი, 6 დეკანოზი, 9 მღვდელი, 3 დიაკონი, 1 ბერმონაზონი და 1 მონაზონი.(18)

ბათუმისა და სხალთის ეპარქიაში შემაგალი სასწავლო დაწესებულებები

1. წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია; დაარსდა 1993 წელს.
2. ბათუმის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (რელიგიურ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულება). დაარსდა 1991 წელს.
3. ხულოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სასწავლებელი. იგი წარმოადგენს სამი ტიპის სასწავლებლის: ტექნიკუმის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და გიმნაზიის ერთობას. დაარსდა 1991 წელს.

ბათუმისა და სხალთის ეპარქიის გამომცემლობა

1. „სხალთის ზარები“, დაარსდა 1995 წელს. 1999 წლამდე გამოიცემოდა როგორც გაზეთი, შემდეგ გადაკეთდა ჟურნალად. იბეჭდებოდა ბათუმისა და სხალთის ეპარქიის ცხოვრების ამსახველი ქრონიკები.

დამფუძნებელია: ხულოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სასწავლებელი.

2. ჟურნალი „ფარი სარწმუნოებისა“. დაარსდა 1998 წელს ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოს დიმიტრის ლოცვა-კურთხევით. სექტანტობისა და ცრუმოდვრებათა მამხილებელი პერიოდული გამოცემაა.

დამფუძნებელი: ბათუმისა და სხალთის ეპარქია.



3. ჟურნალი „გზა ტაძრისაკენ“, დაარსდა 1999 წელს ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოს დიმიტრის ლოცვა-კურთხევით.

დამფუძნებელი: ბათუმისა და სხალთის ეპარქიის მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება.

4. ჟურნალი „სექტანტობის საფრთხე“, დაარსდა 1999 წელს, ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოს დიმიტრის ლოცვა-კურთხევით. ჟურნალი აშუქებს სექტანტური დაჯგუფებების კრიმინალური საქმიანობის ამსახველ ქრონიკებს.

დამფუძნებელი: ბათუმისა და სხალთის ეპარქია.

5. ჟურნალი „მართლმადიდებლური საკითხავი“, დაარსდა 1999 წელს, ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოს დიმიტრის ლოცვა-კურთხევით. ჟურნალში ქვეყნდება თეოლოგიური ხასიათის პუბლიკაციები.

დამფუძნებელი: ბათუმისა და სხალთის ეპარქია. (18)

თქრისტეს შობიდან დღემდე, 2000 წლის მანძილზე, ღვთის განგებით ქართველი ერისა და ეკლესიის ისტორიაში ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. მათ შორის ქართული ეკლესია გამოჰყოფს სამ ძირითად მოვლენას.

1. ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელისა და მატათას მოციქულებრივი მოღვაწეობით საქართველო პირველ საუკუნეშივე ეზიარა ქრისტეს მადლს, ქართლის მოქცევის დასაწყისს. მაცხოვრის კვართის მობრძანება ქვეყანაში კი განსაკუთრებული წყალობისა და მადლის მინიჭების ნიშანია. ესოდენ დიდი სიწმინდის თავის წიაღში დაფლვა საქართველოს ბევრს ავალებს. ყოველივე ამან დაუდო სათავე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

2. ჩვიდმეტი საუკუნის წინ წმიდა ნინოს ჩამოსვლამ და მოღვაწეობამ დააგვირგვინა სრული მოქცევა ქართლისა. საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოება სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. გაჩნდა პირველი საეპისკოპოსოები.


3. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მალე მოჰყვა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება. დამოუკიდებელი კი მხოლოდ ის ეკლესია შეიძლება იყოს, სადაც იქადაგეს მოციქუ-

ლებმა. თუ ერი მოციქულებისაგან მიღებულ მადლსა და ტალანტს გაამრავლებს, მას დამოუკიდებელი ეკლესიური არსებობის უფლება ეძლევა. ქართველმა ერმა ამას მიაღწია. (3)

ეს სამი ძირეული მოვლენა წარმართავდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და საერთოდ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებას.

დიდი ხანია სხალთის ზარის ხმა შეუერთდა დედა-სიონის ზარებს. შესრულდა გიორგი მერჩულეს ნაბრძანები: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, საცა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. (2:3)

ღვთის დალოცვილ აჭარის მიწაზე, ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოს დიმიტრის ლოცვა-კურთხევითა და აჭარის ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერითა და თანადგომით, გრძელდება ეკლესია-ტაძრების მშენებლობა.



ჩვენდნბს წმიღბ ვიორგის სბყდბრბ



ბათუმის ყოვლადწმიდა სამების ტაძარი




აძველ ცენტრში, რომელიც დაარსდა 1928 წელს, მდებარეობს ქართული ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ბათუმის ციხის გათხრების შედეგად აღმოჩენილი






ჩაქვის მთავარანგელოზთა ტაძარი



საქართველოს ფინანსების მინისტრის
სამსახური



ორთბათუმის წმინდა პანტელეიმონის ტაძარი



ფერიას წმინდა მიწამე ეკლესიის ეკლესია



დაგვას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარიაძის მძინევის ტაძარი





ქობულეთის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ტაძარი



ბათუმის წმინდა ილია აღმაშენებლის ეკლესია

მეცხე კვირიკის წიგნი კონსტანტინე და ელიზბეთის ტაძარი






ქვედა კვირიკის წმინდა გიორგის ტაძარი



დაგვას ქრისტეს აღდგომის ტაძარი



სკოლის შენობის ფოტო



აჭყაყაძის წმინდანების მემორიალური და პავილიონი ტბისპირა



სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს
საეპისკოპოსოსი

საქართველოს სსრ-ის პარლამენტის შენობის ფაქსი





აჭყაის წმინდა გიორგის ტაძარი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი

მელქისედეკ I – 1012-1030, 1039-1045 წ.წ.

ოქროპირი (იოანე) II – 1031-1039-1049 წ.წ.

ექვთიმე I – 1049-1055 წ.წ.

გიორგი III, ტაოელი – 1055-1065 წ.წ.

გაბრიელ III, საფარელი – 1065-1080 წ.წ.

დიმიტრი – 1080-1090 წ.წ.

ბასილი III, კარიჭისძე – 1090-1100 წ.წ.

იოანე IV, საფარელი – 1110-1142 წ.წ. (რუის-ურბნისის
საეკლესიო კრების თავმჯდომარე)

სვიმეონ IV, გულაბერიძე – 1142-1146 წ.წ.

საბა II – 1146-1150 წ.წ.

ნიკოლოზ I, გულაბერიძე – 1150-1178 წ.წ.

მიქელ IV, მირიანის ძე – 1178-1187 წ.წ.

თეოდორე II, მირიანის ძე – 1188-1206 წ.წ.

ბასილი IV – 1206-1208წ.წ.

იოანე V – 1208-1210წ.წ.

ეპიფანე – 1210-1220 წ.წ.

ექვთიმე II – 1220-1222 წ.წ.

არსენი III – 1222-1225 წ.წ.

გიორგი IV – 1225-1230 წ.წ.

არსენი IV, ბულმაისის ძე – 1230-1240წ.წ.

ნიკოლოზ II – 1240-1280 წ.წ.

აბრამ I – 1280-1310 წ.წ.

ექვთიმე III – 1310-1325 წ.წ.

მიქელ V – 1325-1330 წ.წ.

ბასილი V – 1330-1350 წ.წ.

დოროთეოზ I – 1350-1356 წ.წ.

შიო I – 1356-1364 წ.წ.

ნიკოლოზ III – 1364-1380 წ.წ.

ელეოზ გობირაზის ძე – 1380-1411 წ.წ.

მიქელ VI – 1411-1426 წ.წ.

დავით II – 1426-1430 წ.წ.

თეოდორე III – 1430-1435 წ.წ.

დავით III, გობელაძე – 1435-1439, 1445-1459 წ.წ.

შიო II – 1440-1443 წ.წ.

- მარკოზ – 1460-1466 წ.წ.
დავით IV – 1466-1479 წ.წ.
ევავრე – 1480-1492, 1500-1502 წ.წ.
აბრამ II, აბალაკი – 1492-1497 წ.წ.
ევრემ I – 1497-1500 წ.წ.
ღორთეოს II – 1503-1510; 1511-1516 წ.წ.
დიონისე – 1510-1511 წ.წ.
ბასილი VI – 1517-1528 წ.წ.
მალაქია – 1528-1538 წ.წ.
მელქისედეკ II, ბაგრატიონი – 1538-1541 წ.წ.
გერმანე – 1541-1547 წ.წ.
სვიმონ V – 1547-1550 წ.წ.
ზებედე I – 1550-1557 წ.წ.
ნიკოლოზ IV, ბარათაშვილი – 1562-1584 წ.წ.
ნიკოლოზ V – 1584-1592 წ.წ.
ღორთეოზ III – 1592-1599 წ.წ.
დომენტი I – 1599-1603 წ.წ.
ზებედე II – 1603-1610 წ.წ.
იოანე VI, ავალიშვილი – 1610-1613 წ.წ.
ქრისტეფორე I – 1616-1622 წ.წ.



ზაქარია ჯორჯაძე – 1622-1630 წ.წ.

კვდემოზ I, დიასამიძე – 1630-1637 წ.წ.

ქრისტეფორე I, ურდუბეგის ძე,

ამილახორი – 1638-1660 წ.წ.

დომენტი II, ქაიხოსროს ძე,

მუხრან-ბატონი – 1660-1670 წ.წ.

ნიკოლოზ VI, იოთამის ძე, ამილახორის

შვილი – 1678-1688 წ.წ.

იოანე VII, დიასამიძე – 1670-1678, 1696-1700 წ.წ.

ევდემოზ II, დიასამიძე – 1701-1705 წ.წ.

დომენტი III, ლეონ ბატონიშვილის ძე, – 1705-1725 წ.წ.

ბესარიონ ორბელიანი – 1725-1737 წ.წ.

კირილე – 1737-1739 წ.წ.

ნიკოლოზ VII, ხერხეულიძე – 1739-1744 წ.წ.

ანტონ I დიდი, იესე მეფის ძე, – 1744-1755,

1764-1788 წ.წ.

იოსებ ჯანდიერი – 1755-1764 წ.წ.

ანტონ II, ერეკლე მეფის ძე – 1788-1811 წ.წ.

1811 წლიდან 1917 წლამდე წინააღმდეგ მოციქულთა კანონების, ასევე მსოფლიო კრებებისა და ამასთანავე ანკვირიის, სარდიკიის, ანტიოქიის და კართაგენის ადგილობრივი კრებების კანონებისა – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა ადმინისტრაციული წესით, ქართველი ერის თანხმობისა და საქართველოს საეკლესიო კრების გარეშე, გაუქმებულ იქნა და განაგებდნენ რუსეთის სინოდის ეგზარხოსები.

ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი

კირიონ III, საძაგლიშვილი – 1917-1918 წ.წ.

ლეონიდე ოქროპირიძე – 1918-1921 წ.წ.

ამბროსი ხელაია – 1921-1927 წ.წ.

ქრისტეფორე II, ციციშვილი – 1927-1932 წ.წ.

კალისტრატე ცინცაძე – 1932-1952 წ.წ.

მელქისედეკ III, ფხალაძე – 1952-1960 წ.წ.

ეფრემ II, სიღამონიძე – 1960-1972 წ.წ.

დავით V, დევდარიანი – 1972-1977 წ.წ.

ილია II (ლუდუშაური-შიოლაშვილი) – 1977 წლიდან

(32.12)

მცირე ლექსიკონი

- აგიოგრაფია — ქრისტიანული ლიტერატურის დარგი, რომელშიც მოცემულია წმინდანთა ცხოვრების აღწერა.
- აკტოკეფალია — ბერძნულია, ერთი მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა მეორისაგან.
- ალილუია — ებრაულია და ნიშნავს—აქებდეთ ღმერთს. ქრისტიანთა მღვდელთმსახურებაში სალოცავი ღვთის სადიდებელი.
- ამბიონი — ბერძნულია, ეკლესიაში საკუროთხევლის წინ ამალღებული ადგილი, საიდანაც ლოცვებს წარმოსთქვამენ.
- ამინ — ბერძნულია, ნიშნავს — ჭეშმარიტია, ჭეშმარიტად.
- ანაფორა — მღვდლის ზედა, ფართო და გრძელი სამოსი.
- ანტიქრისტე — ბერძნულია, ქრისტიანულ სარწმუნოებაში ქრისტეს მთავარი მოწინააღმდეგე, რომელიც თითქოს ქვეყანას მოეგლინება „მეორედ მოსვლისას“ და რომელსაც ქრისტე დაამარცხებს.
- არქიდიაკონი — უფროსი დიაკვანი, საკათედრო ტაძარში მთავარი დიაკვანი.
- არქიეპისკოპოსი — ბერძნულია, მღვდელმთავარი, ხარისხით ეპისკოპოსზე მაღალი და მიტროპოლიტზე დაბალი, მთავარი ეპისკოპოსი.
- არქიმანდიტრი — ბერძნულია, დიდი მონასტრის წინამძღვარი.



- ეგზარქოსი – ბერძნულია, მართლმადიდებელთა კალკედონის საეკლესიო ოლქის ან დამოუკიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი.
- ეპარქია – ბერძნულია, საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს, საეპისკოპოსო.
- ეკლესია – ბერძნულია, შესაკრებელს ნიშნავს. იგი ძველ საბერძნეთში სახალხო კრების ყველაზე უფრო გავრცელებული სახელწოდება იყო. შემდეგ ქრისტიანული რელიგიის საკულტო ნაგებობაა ღვთისმსახურებისათვის.
- თეოლოგი – ღვთისმეტყველი
- იერარქი – ბერძნულია, ეპისკოპოსის საეკლესიო ოფიციალური სახელი.
- ლიტანია – ბერძნულია, საყოველთაო ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უკლიან. იმართება დიდი ღღესასწაულის ან საერთო განსაცდელის დროს.
- ლიტურგია – ბერძნულია, მთავარი ქრისტიანული მღვდელთმსახურება, ჟამის წირვა.
- ლიტურგიკა – მოძღვრება მღვდელთმსახურების წესების შესახებ.
- მართლმადიდებლობა – ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა, რომელიც დასავლური (კათოლიკურ) და აღმოსავლურ ეკლესიებად გამოყოფის შედეგად გაფორმდა 1054 წელს. მართლმადიდებლობა აერთიანებს 15 ავტოკეფალიურ ეკლესიას.
- მეტანია – ბერძნულია, მონანიებას ნიშნავს, მუხლის მოდრეკა და წელში ღრმად მოხრა ლოცვა-ვედრების დროს.
- მიტრა – ბერძნულია, უმაღლესი სასულიეროთ პირთა (აგრეთვე დამსახურებულ მღვდელთა) მაღალი, მრგვალი თავსარქმელი, რომელსაც იხურავენ



მღვდელმსახურობის დროს მიტროპოლიტი – ბერძნულია, მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსთა უმაღლესი წოდება.

მონასტერი – ბერძნულია და ნიშნავს განდევილის სენაკს. არსებობდა მეფეთა სალოცავი და საძვლე მონასტრები, აგრეთვე კერძო ფეოდალთა საძვალე-სალოცავები. მონასტერში საეკლესიო-სასულიერო და ყოველდღიურ ცხოვრებას აწესრიგებდა საგანგებო „ტიპიკონი“. საქართველოში მოქმედ ტიპიკონთაგან ცნობილია გრიგოლ ხანძთელის „საბაწმიდური“ და „სიმონწმიდური.“

პატრიარქი – მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული.

სამება – ქრისტიანული თვალსაზრისით ერთიანი ღმერთი არსებობს სამი სახით (იპოსტასით): მამა ღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმიდას სახით; ქრისტიანული დღესასწაული, რომელსაც აღნიშნავენ აღდგომის 50-ე დღეს.

სინოდი – ბერძნულია, ნიშნავს კრებას, მართლმადიდებელი ეკლესიის სათათბირო ორგანო.

ტადარი – საკულტო ნაგებობა ღვთისმსახურებისა და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესასრულებლად. ძველ ქართულ ძეგლებში ტადარი გვხვდება როგორც უფლის სახლის, სამლოცველო სახლის (ეკლესია), ისე უფლის (მეფე მთავარი) რეზიდენციის, სასახლის მნიშვნელობით.

გამოყენებული წყაროები

1. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1990, №1
2. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1989, №3, გვ.3
3. გაზეთი „კვართი უფლისა“, საქართველოს საპატრიარქოს ერთდროული გამოცემა, 2000წ.
4. ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქოს“, №1, 1998, გვ.30
5. ჟურნალი „გზა ტაძრისაკენ“, 1990, №2, გვ.4
6. ჟურნალი „გზა ტაძრისაკენ“, 1999, №1, გვ.49
7. „ქართლის ცხოვრება“, ნაწ. 1, თბ, 1955, გვ.39
8. ზჭიჭინაძე, ქართველთა გამაჰმადიანება, თბ, 1907, გვ.7-8
9. ზჭიჭინაძე, კათოლიკეთა ეკლესია ბათუმში, თბ, 1903, გვ.25
10. დიმ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1978, გვ.24
11. ზვიად ჟვანია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, თბ, 1992, გვ.9-10
12. დგეგეშიძე, საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის ადგილისა და როლის საღვთისმეტყველო კონცეფციის კრიტიკა, თბ, 1986, გვ.26. 32
13. რ.წარქვაძე, ქართველი ხალხის სოციალურ-კულტურული ტრადიციები XV-XVIII სს. უცხოელი ავტორების ცნობებში, თბ, 1982, გვ.32
14. თკომახიძე, აჭარა წარსულის გადასახედიდან, ბათუმი, 1999, გვ.156
15. ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბათუმი, 1955
16. ქსე, საქართველოს სსრ, თბ, 1981, გვ.346
17. ქსე, ტ. X, თბ, 1986, გვ.555



18. ბათუმისა და სხალთის საეპისკოპოსოს რეზიდენციის მასალებიდან.
19. იბეჭირიშვილი, ამას შენზე ამბობენ აჭარავ, ბათუმი, 1995, გვ.73,74
20. აციცხვაიას შრომა, აჭმ, 1999წ. გვ.11
21. ბუკლეტი, კათოლიკური ეკლესია, ბათუმი, 1988
22. გაზეთი „ერი“, 1991, 20 მარტი
23. გაზეთი „ერი“, 1990, 20 დეკემბერი
24. გაზეთი „ივერია“, 1903, №94
25. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1903, 4 მაისი
26. გაზეთი „სამშობლო“, 1990, №2
27. გაზეთი „ივერია“, 1898, 18 აპრილი
28. გაზეთი „ბათუმი“, ბათუმის ბერძენთა საზოგადოების, 1997, №3-4
29. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1989, №91
30. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1997, 17 აპრილი
31. გაზეთი „განათლება“, 1991, 9 სექტემბერი
32. გაზეთი „სახალხო განათლება“, 1990, 12 აპრილი
33. გაზეთი „სხალთის ზარები“, 1996, №5
34. გაზეთი „სხალთის ზარები“, 1995, №1
35. აჭარის არ უზენაესი საბჭო, ქრონიკა, საინფორმაციო ბიულეტენი, №6, 2000, გვ. 41.

შინაარსი

- | | |
|---|-----|
| 1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
როლი ქართველი ერის ისტორიაში | გვ. |
| 2. „მოვიდა... ანდრია დიდ-აჭარას“ | გვ. |
| 3. სხალთის მამათა მონასტერი | გვ. |
| 4. ბათუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი | გვ. |
| 5. ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო
ტაძარი | გვ. |
| 6. ჩეხედანას წმიდა გიორგის სახელობის
საყდარი | გვ. |
| 7. ბათუმის ყოვლადწმიდა სამების სახელობის
ტაძარი | გვ. |
| 8. ბათუმის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია | გვ. |
| 9. ბათუმის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი | გვ. |
| 10. ბათუმის წმიდა ბარბარეს სახელობის ტაძარი | გვ. |
| 11. ბათუმის წმიდა იოაკიმ და ანას სახელობის
ტაძარი | გვ. |
| 12. ჩაქვის მთავარანგელოზთა სახელობის
ტაძარი | გვ. |
| 13. ახალშენის ფერისცვალების სახელობის
ტაძარი | გვ. |
| 14. წმიდა პანტელეიმონის სახელობის ტაძარი | გვ. |
| 15. წმიდა მოწამე ეკატერინეს სახელობის
ეკლესია | გვ. |
| 16. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარიამის
მიძინების სახელობის ტაძარი | გვ. |
| 17. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების
სახელობის ტაძარი | გვ. |
| 18. წმიდა ილია წინასწარმეტყველის | |



სახელობის ეკლესია	
19. წმიდა კონსტანტინე და ელენეს სახელობის ტაძარი	83
20. წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი	83
21. ქრისტეს აღდგომის სახელობის ტაძარი	83
22. აჭყვის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი	83
23. წმიდანების პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარი	83
24. წმიდა თეოდორეს სახელობის ტაძარი	83
25. წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი	83
26. ყოველთა წმიდათა სახელობის ტაძარი	83
27. ბათუმისა და სხალთის ეპარქიის სამღვდელთა	83
28. ბათუმისა და სხალთის ეპარქიაში შემაჯავლი სასწავლო დაწესებულებები	83
29. ბათუმისა და სხალთის ეპარქიის გამომცემლობა	83
30. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი	83
31. მცირე ლექსიკონი	83
32. გამოყენებული წყაროები	83

რედაქტორი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ოთარ გოგოლიშვილი

ავტორი უღრმეს მადლობას მოახსენებს
ბატონ აკაკი აკაკის ძე ლეკვეიშვილს
წიგნის გამოცემაში გაწეული დიდი
დახმარებისათვის.

საშა აკაკის ასული ლეკვეიშვილი

მოქმედი მართლმადიდებლური
ტაძრები აჭარაში

გამომცემლობის რედაქტორი
ტექნიკური რედაქტორი
დამკაბადონებელი
კორექტორი

ვახტანგ კირკიტაძე
თემურ გველესიანი
მარიზა გოგია
ნარი მაპრიკიშვილი

პოლიგრაფიული ცენტრის
ხელმძღვანელი

ირაკლი დევაძე

გადაეცა წარმოებას 25.06. 01.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.06.01.
ქალაქის ზომა 60x84
ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო



ბათუმის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა
„იურიდიული ლიტერატურა“

შ კ ს მეგობარი, ბათუმი კობალაძის ქ.№9





